ქართული ჟესტური ენის საარჩევნო ლექსიკონი არის წარმოდგენილი ფორმატის პირველი გამოცემა, რომელიც დაეხმარება საქართველოში მცხოვრებ ყრუებსა და სმენადაქვეითებულებს, რომ მათ უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში. წიგნის მიზანია, რომ ყრუებმა შეძლონ და საარჩევნო პროცესებში ყველას კარგად გააგონონ თავიანთი ხმა.

წიგნზე მუშაობდა ქართული ჟესტური ენის მატარებელთა ჯგუფი საქართველოს ყრუთა კავშირიდან. განსაკუთრებული მადლიერებით უნდა მოვიხსენიოთ საქართველოს ყრუთა კავშირის პრეზიდენტი – ბატონი ამირან ბატატუნაშვილი, ვიცე-პრეზიდენტი – ქალბატონი მაია მეტონიძე, საქართველოს ყრუთა კავშირის წევრები – ფარხად აბასოვი, ნათია ჯაფოშვილი და თარჯიმანი – თამარ ჯიქიძე. ამ ადამიანთა ჩართულობის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა ამ წიგნის შექმნა.

ავტორი



**აბზაცი** – ტექსტში შეწევით დაწყებული ახალი სტრიქონი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დაწყება“ – ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, მარჯვენა ხელისგული მიმართულია წინ, მუშტად შეკრული თითებით და ზევით აღმართული, გაშლილი საჩვენებელი თითით მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ზევით მიემართება; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გადასვლა“ – ორივე ხელი წარმოდგენილია გაშლილი და ერთმანეთთან მიტყუპებული თითებით, მარცხენა ხელისგული მიმართულია ზევით, ხოლო მარჯვენა – მარცხნივ, მარჯვენა დომინანტი ხელი პერპენდიკულარულად დევს მარცხენაზე და წინ გადაადგილდება რკალური ტრაექტორიით. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



**აბონემენტი** – საბუთი, რომელიც რამეთი სარგებლობის უფლებას იძლევა

ორნაწილიანი, ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური ფორმა: მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, შეტყუპებული და წრიულად მოხრილი

თითებით გამოსახულია ღია წრე, სრულდება მოძრაობა მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მრავალფეროვნება“– ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, ფართოდ გაშლილი და ზევით მიმართული ხუთი თითი თანმიმდევრული რხევით მოძრაობს, სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**აბონენტი** – აბონემენტის მქონე პირი

პირველ ნაწილში მოცემულია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გადახდა“ – ხელისგულები ზევითაა მიმართული, გაშლილი თითებით და ზემოთ აწეული ცერით მარჯვენა ხელი ზემოდან ედება გაშლილ მარცხენა ხელისგულს, მარჯვენა ცერისა და საჩვენებელი თითის წვერები ბოლო ფაზაში ერთმანეთს ეხება; მეორე ნაწილში წარმოდგენილია სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერითა და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძარაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**აზრა** – დაფა დაწესებულების სახელწოდების წარწერით

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთთან ახლოს მიტანილი ხელისგულები ერთმანეთისკენაა მიმართული, მოხრილი საჩვენებელი და ცერი თითები გამოსახავენ ღია წრეს, სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული იმავე კონფიგურაციით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.



**აბსოლუტური** – სრული, თავისთავადი, რაც არაფერზე არ არის დამოკიდებული

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ხელისგულები ერთმანეთისკენაა მიმართული, საჩვენებელი და ცერი თითებით იკვრება წრეები, დანარჩენი თითები გაშლილია და ფალანგებში ოდნავ მოხრილი, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**აგენტი** –
პირი, რომელიც დაწესებულების დავალებას ასრულებს ან მისი წარმომადგენელია

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „საიდუმლო“ – ხელისგული სხეულისკენაა მიმართული, მუშტად შეკრული ხელი გაშლილი ცერით მარჯვნიდან მარცხნივ გადაადგილდება პირთან და ქვევით ეშვება ჯერ მარჯვენა, შემდეგ მარცხენა მხარეს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახის, მკერდისა და მხრების დონეზე.



**აგიტატორი** –
პირი, ვინც აგიტაციას ეწევა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „აგიტაცია“ – ხელისგულები ქვევითაა მიმართული, გაშლილია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორჯერ სრულდება ქვევით მიმართული განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ქვევით გადაადგილდება, მარცხენა - მარცხნივ და ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული

მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**აგიტაცია** – მოქმედება ზეგავლენის მოხდენის მიზნით

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ხელისგულები ქვევითაა მიმართული, გაშლილია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები მუშტებადაა შეკრული, სრულდება ქვევით მიმართული განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ქვევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**აგრარული** – მიწათმოქმედებასთან დაკავშირებული

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სოფელი“ – ხელისგულები ერთმანეთისკენაა მიმართული ფართოდ გაშლილი თითებით, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს; ჟესტის მეორე ნაწილია

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მრავალფეროვნება“ – ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, ფართოდ  გაშლილი თითების რხევით სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ; ჟესტის მესამე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „დანიშნულება“  – ხელისგულები მიმართულია წინ, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



**აგრესია** – თავდასხმა

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ხელისგულები ქვევითაა მიმართული, გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით სრულდება  ქვევით მიმართული რკალური ტრაექტორიის განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ქვევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ქვევით, ბოლოო ფაზაში მუშტად შეკრულია ხელები. ჟესტი მკერდის დონეზეა წარმოდგენილი.



**აგრესორი** – თავდამსხმელი

ორნაწილიანი ჟესტი პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „აგრესია“ / „დაპრყობა“ – ხელისგულები ქვევითაა მიმართული, გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით სრულდება ქვევით მიმართული რკალური ტრაექტორიის განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ქვევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ქვევით, ბოლო ფაზაში მუშტად შეკრულია ხელები; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**ადგილი** – სივრცის ნაწილი დედამიწაზე

ორხელიანი, სიმეტრული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი თითებით, სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე,



**ადვოკატი** – იურისტი, რომელიც გამოდის დამცველად

ერთხელიანი, დინამიკური, ჟესტი, მარცხნივ მიმართულია ხელისგული, ცერი და საჩვენებელი თითი ერთმანეთს წვერებით ეხება და კრავს წრეს, დანარჩენი თითები გაშლილია, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა და ხელი მკერდს ეხება; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დაცვა“ – წინ მიმართულია ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ადმინისტრაცია** – აღმასრულებელი ორგანო ან ჯგუფი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ხელმძღვანელი“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით, ხელები სხეულისკენ მოძრაობს სინქრონულად; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „უფროსი“ – მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით და ზემოთ აწეული ცერით, სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული

მუშტად შეკრული თითებით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ავანსი**

– წინასწარ გადახდილი თანხა ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური ფორმა – მარცხნივ მიმართულია ხელისგული, გაშლილია საჩვენებელი, შუა და არათითი, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სესხი“ – ქვევით მიმართულია ხელისგული გაშლილი თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და იხრება თითები, ბოლო ფაზაში თითები მოხრილია. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.



**ავტობიოგრაფია** – საკუთარი ბიოგრაფია, ავტორის მიერ თავისი ცხოვრების აღწერა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ხასიათი“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, ცერი და საჩვენებელი თითი წვერებით ეხება ერთმანეთს, სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა- ჟესტი „ბიოგრაფია“ (სიტყვასიტყვით – „ჩამოწერა“) – წინ მიმართულია ხელისგულები, ცერები ეხება გაშლილი თითების წვერებს და სპირალური ტრაექტორიით ხელები ქვევით მიემართება. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე,



**ავტონომია** – მართვის დამოუკიდებლობა

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, გაშლილია ცერი და საჩვენებლი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ხელისგული სხეულისკენაა მიმართული, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.



**ავტორი** – პირი, რომელიც ქმნის რამეს

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური სიტყვა-ჟესტი „წერა“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, მარცხენა ხელისგულის ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით, თითები ერთად მოხრილია ზედა ფალანგებში და ცერი ეხება საჩვენებელი თითის წვერს, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა მარჯვნივ და ხელი მსუბუქად ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**ავტორიტეტი** – აღიარება, სახელი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი – მარჯვენა დომინანტი ხელი მუშტად შეკრული თითებითა და მარცხნივ მიმართული ხელისგულით ეხება ქვევით მიმართულ გაშლილ მარცხენა

ხელისგულს და სრულდება მოძრაობა ზევით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**აზია** – კონტინენტი, მსოფლიოს აღმოსავლეთი ნაწილი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „თბილი“ – ხელისგული გაშლილი თითებით სახისკენაა მიმართული; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური ფორმა – წინ მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარცხნივ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



**აზიელი** – აზიის მცხოვრები

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „თბილი“ – ხელისგული გაშლილი თითებით სახისკენაა მიმართული; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური ფორმა – წინ მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარცხნივ და ქვევით; ჟესტის ბოლოო ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახის, მკერდისა და მხრების დონეზე.



**აზრი** – ფიქრისა და მსჯელობის პროდუქტი

ერთხელიანი, სტატიკური ჟესტი, ხელისგული მიმართულია მარცხნივ, თითები ერთად მოხრილია ზედა ფალანგებში და ცერი ეხება საჩვენებელი თითის წვერს, ხელი თითების წვერებით ეხება საფეთქელს. ჟესტი სრულდება სახის დონეზე.



**აზროვნება** – გონიერება, ფიქრის უნარი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „აზრი“ – ხელისგული მიმართულია მარცხნივ, თითები ერთად მოხრილია ზედა ფალანგებში და ცერი ეხება საჩვენებელი თითის წვერს, ხელი თითების წვერებით ეხება საფეთქელს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ფიქრი“ – ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით მიმართულია სხეულისკენ, თითების რხევით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა საფეთქელთან. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.



**ათეიზმი** – ურწმუნოება

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „ღმერთი“ – შუბლზე მიდებულია მუშტად შეკრული ხელი წინ მიმართული ხელისგულით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – ზევით მიმართული მარცხენა გაშლილი ხელისგულის ზედაპირზე მარჯვენა ხელის თითები გარეთ მიმართული რკალური მოძრაობით უარყოფას გვიჩვენებს. ჟესტი სრულდება სახისა და მკერდის დონეზე.



**აკრძალვა** – რამის უფლების გაუქმება

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ხელისგულები ერთმანეთისკენაა მიმართული, საჩვენებელი თითები გაშლილია და ზევით აღმართული, დანარჩენი თითები მუშტებადაა შეკრული. მარცხენა ხელი ქვევითაა განთავსებული, ხელები ერთმანეთისკენ მოძრაობს. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



**ალამი** – დროშა, ბაირაღი

ორხელიანი, ასიმეტრიული, სტატიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა გაშლილი ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, ზევით აწეული ცერით, გაშლილი თითებით ქვევით მიმართული მარცხენა ხელისგული ეხება მარჯვენა ხელის იდაყვს. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



**ალბათობა** – რისიმე განხორციელების შესაძლებლობა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ალბათ“ – ზევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური ფორმა, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა გაშლილი ხელისგული გაშლილი თითებით, ქვევით ჩაწეული შუა თითით ხელი ეხება მკერდს. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



**ამბოხი** – აჯანყება

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, გაშლილი თითებით ქვევით მიმართულია ხელისგულები, მარჯვენა ხელი ზედ ადევს მარცხენას, ორივე ხელი ერთად მოძრაობს ზევით. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



**ამერიკა** – ამერიკის ქვეყანა, აშშ

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ხელისგული სხეულისკენაა მიმართული, გაშლილია თითები და ქვევით ჩაწეული შუა თითი ეხება ჯერ ნიკაპს, შემდეგ შუბლს. ჟესტი სრულდება სახის დონეზე.



**ამიერკავკასია** – კავკასიის ნაწილი, რომელიც კავკასიონის ქედის სამხრეთითაა, სამხრეთ კავკასია

სამნაწილიანი, დინამიკური ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი სტატიკური სიტყვა-ჟესტი „თბილი“ – ხელისგული გაშლილი თითებით სახისკენაა მიმართული; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „საქართველო“ /„ქართული“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ქვევით დაშვებული თითებით, სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით, ხელები სხეულს ეხება ზევით მიმართული ცერებით; ჟესტის ბოლო ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მინდორი“ / „ქვეყანა“ – ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



**ამონაბეჭდი** – ამობეჭდილი, დაბეჭდილი რამე, ჟურნალიდან ან კრებულიდან ამოღებული ნაბეჭდი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დაბეჭდვა“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, მარჯვენა ხელი მუშტად შეკრული თითებით და ქვევით მიმართული ხელისგულით ქვევით ეშვება და ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ამოსვლა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი თითებით, ქვევით განთავსებული მარჯვენა ხელის თითები ზევითაა მიმართული, მარცხენა ხელის თითები კი მარჯვნივაა მიმართული მხრების დონეზე, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ზევით, ბოლო ფაზაში მარჯვენა ხელის თითები მარცხენა ხელის თითების წინაა განთავსებული. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**ამოცანა** – მოსაცნობი, გადასაწყვეტი, გადასაჭრელი საკითხი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „გამოგონება“ – ხელისგული მიმართულია მარცხნივ და ქვევით, გაშლილი საჩვენებელი თითი წვერით

ეხება საფეთქელს, დანარჩენი თითები მუშტადაა შეკრული; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ანგარიში“ – ხელისგულები გაშლილი თითებით ქვევითაა მიმართული, ერთმანეთის პარალელურად განთავსებული ხელები წინ მიემართება თითების რხევით. ჟესტი სრულდება სახისა და მკერდის დონეზე.



**ამხანაგი –** თანასწორი, ტოლი, სწორი, მეგობარი

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით და განზე გაწეული იდაყვით, იდაყვით სრულდება რკალური ტრაექტორიის გამეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ, ბოლო ფაზაში მარცხნივ მიმართულია ხელისგული და იმავე კონფიგურაციით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ანაბარი –** მიბარებული რამ, შემნახველ სალაროში (ბანკში) შეტანილი ფული

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური, სიტყვა-ჟესტი „ფული“ – ხელისგული ზევითაა მიმართული, გაშლილი თითების წვერებს განმეორებითი მოძრაობით ეხება ცერი; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დაგროვება“ – მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა მარცხნივ და წინ, ბოლო ფაზაში მარჯვენა ხელის თითები გაშლილი და წინ მიმართულია „უ“ დაქტილის ფორმით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**ანაზღაურება –** საფასურის გადახდა, დაფარვა (ზარალისა, ხარჯისა...), დანაკარგის აღდგენა, სანაცვლოს მიცემა, ზღვევა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ფული“ – ხელისგული ზევითაა მიმართული, გაშლილი თითების

წვერებს განმეორებითი მოძრაობით ეხება ცერი;
ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური  სიტყვა-ჟესტი „გადახდა“– ხელისგულები ზევითაა მიმართული, გაშლილი თითებით და ზევით აწეული ცერით მარჯვენა ხელი ზემოდან ედება გაშლილ მარცხენა ხელისგულს, მარჯვენა ცერი და საჩვენებელი თითების წვერები ბოლო ფაზაში ერთმანეთს ეხება. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



**ანალიზი** – შესასწავლი ობიექტის გამოკვლევა, რაიმე ობიექტის შესწავლა მისი ნაწილებად დაშლის გზით

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ხელისგულები წინ და ქვევითაა მიმართული, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ანალოგია** –
მსგავსება, იგივეობა, მსგავსება არაიგივეობრივ საგანთა, მოვლენათა და ცნებათა შორის

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ფორმა“ – წინ მიმართულია ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით, გაშლილი და სახისკენ მიმართული ცერებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მსგავსება“ – გაშლილი ხელისგულები ქვევითაა მიმართული ქვევით დაშვებული თითებით, ხელები ერთმანეთისკენ მოძრაობს. ჟესტი სრულდება სახისა და მკერდის დონეზე.



**ანკეტა** –
გარკვეული ფორმის მიხედვით შედგენილი ფურცელი

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „პიროვნება“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები

გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ჩაკეცილი ცერებით, ორივე ხელებით სრულდება სინქრონული მოძრაობა ქვევით; ჟესტის ბოლო ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ჩამოწერა“ – წინ მიმართულია ხელისგულები, ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს, ხელები ქვევით ეშვება სპირალური ტრაექტორიით. ჟესტი სრულდება მხრებისა და მკერდის დონეზე.



**ანომალია** – კანონზომიერების დარღვევა, საერთო წესისაგან, ნორმისაგან გადახვევა, გადახრა

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დაბადება“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილია ნეკი და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის სინქრონული მოძრაობა წინ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სწორი“/ „ამინ“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, ცერი და საჩვენებელი თითები კრავს ზევით მიმართულ წრეებს, დანარჩენი თითები გაშლილია, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ქვევით; ჟესტის მესამე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი „უარყოფა“ /„არა“ – წინ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ხელი მოძრაობს მარჯვნივ. ჟესტი სრულდება წელისა და მკერდის დონეზე.



**ანონიმი –** წერილობითი წყარო, რომლის ავტორის ვინაობაც უცნობია

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური სიტყვა-ჟესტი „წერა“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, მარცხენა ხელისგულის ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით, თითები ერთად მოხრილია ზედა ფალანგებში და ცერი ეხება საჩვენებელი თითის წვერს, სრულდება მოძრაობა მარჯვნივ და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით; (პირველი ორი ნაწილია ნიშნავს სიტყვა-ჟესტს „ავტორი“ / „მწერალი“). ჟესტის მესამე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „საიდუმლო“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია  ცერი, დანარჩენი თითები მუშტადაა შეკრული, ხელი ჯერ ტუჩის მარჯვენა მხრიდან ეშვება ქვევით, შემდეგ იმავე მოძრაობას იმეორებს ტუჩის მარცხენა მხრიდან. ჟესტი სრულდება მკერდის, მხრებისა და სახის დონეზე.



**ანონიმური** – ხელმოუწერელი, უსახელო

ორნაწილიანი, დინამიკური ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „წერილი“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები მუშტადაა შეკრული, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და წინ გადაადგილდება რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „საიდუმლო“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია ცერი, დანარჩენი თითები მუშტადაა შეკრული, ხელი ჯერ ტუჩის მარჯვენა მხრიდან ეშვება ქვევით, შემდეგ იმავე მოძრაობას იმეორებს ტუჩის მარცხენა მხრიდან. ჟესტი სრულდება მკერდისა და სახის დონეზე.



**არაარსებითი** – რასაც არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, ნაკლებად მნიშვნელოვანი, მეორეხარისხოვანი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია სიტყვა-ჟესტი „არა“ – ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით,

ხელი მოძრაობს მარჯვნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი "გარეშე" – წინ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ერთმანეთთან შეტყუპებული თითებით, მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი თითებით, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და რკალური ტრაექტორიით ქვევით მოძრაობს; ჟესტის ბოლო ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მნიშვნელოვანი" – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ფალანგებში მოხრილი თითებით, ხელი ეხება მკერდს, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**არადამაკმაყოფილებელი** – არასაკმარისი, რაც არ კამაყოფილებს მოთხოვნებს, არასაკმარისი, არასათანადო

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია სიტყვა-ჟესტი „არა" – ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ხელი მოძრაობს მარჯვნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დაკმაყოფილება" – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, ხელი ეხება მკერდს და ქვევით ეშვება. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



**არმია** – სახელმწიფოს მთელ შეიარაღებულ ძალთა ერთობლიობა, ჯარი

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ხელისგული მუშტად შეკრული თითებით მიმართულია სხეულისკენ და ეხება მკერდს, ბოლო ფაზაში წინ მიმართულია ხელისგული და გაშლილი თითებით ხელი ეხება შუბლს. ჟესტი სრულდება მკერდისა და სახის დონეზე.



**არსი** – შინაგანი საფუძველი, რაობა, აზრი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „აზრი“ /“გონება“ – ხელისგული მიმართულია მარცხნივ, თითები მოხრილია ზედა ფალანგებში და ცერი ეხება საჩვენებელი თითის წვერს, ხელი თითების წვრებით ეხება საფეთქელს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შიგნით“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარცხნივ, გაშლილია ცერი და ერთად მოხრილია ოთხი თითი, ბოლო ფაზაში ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



**არჩევა** – რამისთვის ან ვინმეს უპირატესობის მინიჭება

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, წინ და მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, მარცხენა ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით მარჯვნივ და წინაა მიმართული, მარჯვენა ხელი ზევით და სხეულისკენ გადაადგილდება, ბოლოო ფაზაში ცერი ეხება გაშლილი საჩვენებელი თითის წვერს. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



**არჩევანი** – არჩევის უფლება-შესაძლებლობა, არჩეული რამ ან ვინმე

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „თვითონ“ – სხეულისკენ და ქვევით მიმართული მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით მკერდს ეხება ჯერ მარცხენა, შემდეგ კი მარჯვენა მხარეს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „არჩევანი“ – წინ მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მარჯვნივაა მიმართული, მარჯვენა ხელი ზევით და სხეულისკენ გადაადგილდება, ბოლოო ფაზაში ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



**არჩევნები**
– წარმომადგენლების ან თანამდებობის პირთა ხმის მიცემით არჩევა

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, წინ და მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, მარცხენა ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით მარჯვნივ და წინაა მიმართული, მარჯვენა ხელი ზევით და სხეულისკენ გადაადგილდება, ბოლოო ფაზაში ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



**ასაკი** – ადამიანის სიცოცხლის ესა თუ ის პერიოდი, წელთა რაოდენობა, ათვლილი დაბადებიდან

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დრო“ – მარცხნივ მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი თითების რხევით, ცერი ეხება ნიკაპს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „უფროსი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, ხელი მოძრაობს ზევით და ეხება ნიკაპს. ჟესტი სრულდება სახისა და მხრების დონეზე.



**ასახვა** – სახეებით წარმოდგენა, გამოხატვა, გადმოცემა, აღბეჭდვა, შეცნობა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მიმიკა“ – ხელისგული მიმართულია ქვევით, გაშლილია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები კრავენ მუშტს, სახისკენ მიმართული საჩვენებელი თითი სახის გარშემო წრეს მოხაზავს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული დინამიკური ჟესტი, ხელისგულები ზევითაა მიმართული ფართოდ გაშლილი თითებით, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ზევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ასლი** – ძალიან მსგავსი, ზედგამოჭრილი, კოპირებული

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, მარჯვენა ხელისგული წინ და ქვევითაა მიმართული, გაშლილია საჩვენებელი და ცერი თითები, ბოლო ფაზაში საჩვენებელი და ცერი თითები ერთმანეთს წვერებით ეხება მარცხენა ხელისგულზე. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე ოდნავ ქვევით.

**ასპარეზი** – სპორტული შეჯიბრების სარბიელი, არენა



ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სპორტსმენი“ – მხრების დონეზე აწეულია ხელები, განზე გაწეულია იდაყვები, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი სიტყვა-ჟესტი „მინდორი“ – ქვევით მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით, ხელი ასრულებს განმეორებად, წრიულ მოძრაობას. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.

**ასპექტი** – შეხედულება, სახე მოვლენისა თუ მოსაზრების რაიმე მხარე, კუთხე



ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, პირველ ფაზაში სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილია ცერი და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები კრავენ მუშტს, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის ქვევით მიმართული განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ქვევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ქვევით;  ჟესტის

მეორე ნაწილია ორხელიანი სიმეტრიული დინამიკური ჟესტი, მარჯვენა ხელი ოდნავ ზემოთაა განთავსებული, წინ და ერთმანეთისკენაა მიმართული ხელისგულები, ცერი საჩვენებელი და შუა თითები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



## ატესტაცია

– ვისიმე ცოდნის დონის, პროფესიული კვალიფიკაციის განსაზღვრა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „პროფესია" – ქვევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ფალანგებში ერთად მოხრილი თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დაბეჭდვა" – ქვევით მიმართულია ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



**აუდიტორია** – ლექციის მოსასმენი ადგილი, დარბაზი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „უნივერსიტეტი“ – ერთმანეთისკენ და სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია საჩვენებელი, შუა და ცერი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სრულდება გამეორებადი, ვერტიკალური, წრიული მოძრაობა და ხელები ეხება მკერდს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ხალის დასაჯდომი ადგილი“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი თითებით, სრულდება ზევით მიმართული განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ზევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ზევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**აუცილებელი** – რასაც გვერდს ვერ აუვლიან, უეჭველი, გარდაუვალი

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**აუხსნელი** – რაც არ აუხსნიათ, რაც ახსნილი არ არის

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ვერა“ – მარცხნივ მიმართულია ხელისგული, გაშლილია ცერი და ნეკი, დანარჩენი თითები კრავენ მუშტს, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ და ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ახსნა“ – წინ მიმართულია ხელისგულები, შუა და ცერი თითები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ბოლოო ფაზაში ხელისგულები წინაა მიმართული  ფართოოდ გაშლილი თითებით. ჟესტი სრულდება მხრებისა და მკერდის დონეზე.



**აქტი** – რაიმე ცალკეული მოქმედება

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგულები, ცერები ეხება გაშლილი თითების წვერებს, ხელები  სპირალური ტრაექტორიით ქვევით ეშვება სინქრონულად. ჟესტი სრულდება მხრებისა და მკერდის დონეზე.



**აქტიური** – რაიმე საქმიანობის მხურვალე მონაწილე, ენერგიულად მოქმედი; ენერგიული

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართული ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია თითები, ხელები ეხება მკერდს, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**აქტუალური** – არსებითი მნიშვნელობის მქონე, თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი, საჭირბოროტო

ორნაწილიანი, ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მნიშვნელოვანი“ – სხეულისკენ მიმართული ხელისგული გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით ეხება მკერდს, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები კრავენ მუშტებს, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**აქცია** – ფასიანი ქაღალდი

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მუშტად შეკრული თითებით მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით და ზედ ადევს იმავე კონფიგურაციით ზევით მიმართულ მარცხენას, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ; ბოლოო ფაზაში ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, წრიულად მოხრილი საჩვენებელი და ცერი თითებით გამოსახულია ღია წრეები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**აქცია** – საპროტესტო გამოსვლა, ღონისძიება, რაიმე ეკონომიკური ან პოლიტიკური მიზნის მისაღწევად წამოწყებული მოქმედება

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ხელისგულები მიმართულია ქვევით, წინ მიმართული თითები გაშლილია თავისუფლად, მარჯვენა ხელის თითები მარცხენას ზევითაა განთავსებული, სრულდება მოძრაობა ზევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**აქცია** – ფასდაკლების აქცია

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი „გამოცხადება“/„გამოქვეყნება“ – ხელისგულები მიმართულია ერთმანეთისკენ, გაშლილი საჩვენებელი თითები მიდებულია შუბლზე, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სრულდება რკალური ტრაექტორიის ქვევით მიმართული განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ქვევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ქვევით, შემდეგ ფაზაში ხელები მხრების დონეზეა მუშტად შეკრული თითებით და ოდნავ წამოწეული, მოხრილი საჩვენებელი თითებით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ფასდაკლება“ – ქვევით და ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ზედა ფალანგებში მოხრილი, ერთმანეთისკენ მიმართული თითებით, ხელები ქვევით ეშვება სინქრონულად. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**აღდგენა** – წინანდელი სახის მიცემა; ხელახლა აშენება; განახლება; აღორძინება

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით და სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები კრავენ მუშტებს, ორივე ხელით სრულდება მოძრაობა რკალური ტრაექტორიით: მარჯვენა ხელი მარცხნივ გადაადგილდება, ხოლო მარცხენა – მარჯვნივ; ბოლო ფაზაში ხელები მხრების დონეზეა იმავე კონფიგურაციით, საჩვენებელი თითები ზევითაა მიმართული. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**აღიარება** – რისამე ცნობა, მართებულად მიჩნევა, გაზიარება (რისამე)

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილია ცერი, საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ბოლო ფაზაში ხელისგულები ზევითაა მიმართული, გაშლილია ცერები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



**აღმასრულებელი** –
ვინც ან რაც ასრულებს რამე ბრძანებას, დადგენილებას ან გადაწყვეტილებას, ვინც პრაქტიკულად განახორციელებს მართვა-გამგეობას

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შესრულება“ – გაშლილი და ერთმანეთთან შეტყუპებული, წინ მიმართული თითებით მარცხენა ხელისგული მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია ქვევით, მარჯვენა ხელი წინ მოძრაობს და ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერი და საჩვენებელი თითებით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**აღმაშფოთებელი** –
ამაღელვებელი, დაუშვებელი, შეუწყნარებელი, მიუტევებელი

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები თავისუფლად გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა და ხელები ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**აღმზრდელობითი** – აღზრდის დანიშნულების მქონე, საგანმანათლებლო, დამრიგებლობითი, დიდაქტიკური ხასიათის რამ

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „აღზრდა“– ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, თითები ერთად მოხრილია ზედა ფალანგებში, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ზევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სწავლება“ – მარჯვენა ხელისგული მიმართულია, ცერი ეხება საჩვენებელი და შუა თითების წვერებს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, მარცხენა ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელი ზედ ადევს მარცხენას და ასრულებს განმეორებად მოძრაობას მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**აღმოფხვრა** – ძირფესვიანად ამოგდება, მოსპობა

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია ქვევით, მარცხენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით  მიმართულია ზევით, მარჯვენა ხელისგული ეხება მარცხენა ხელისგულს და წინ მოძრაობს, ბოლო ფაზაში მარჯვენა ხელის თითები შეკრულია მუშტად. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



**აღმსარებელი** – ვინც აღიარებს ამა თუ იმ რელიგიას

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „აღიარება“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილია ცერი, საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ბოლო ფაზაში ხელისგულები ზევითაა მიმართული, გაშლილია ცერები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“– ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**აღმსარებლობა** – ამა თუ იმ რელიგიის მიმდევრობა

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „აღიარება“ – ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილია ცერი, საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ბოლო ფაზაში ხელისგულები ზევითაა მიმართული, გაშლილია ცერები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გაყოლა“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით და ზევით აწეული ცერებით, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია  მკერდის დონეზე.



**აღნიშვნა** – ჩანიშვნა, ნიშნის დასმა, გარკვეული ნიშნით გამოხატვა, გამოსახვა

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ხელი ხაზავს აღნიშვნის ნიშანს. ჟესტი სრულდება მხრების დონეზე.



**აღნიშნული** – რაც აღნიშნეს ან აღინიშნა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „აღნიშვნა“ – წინ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ხელი ხაზავს აღნიშვნის ნიშანს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „უკვე“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.



**აღრიცხვა** – რაიმე მიზნისათვის სპეციალურ სიაში შეტანა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ჩაწერა“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, მარცხენა ხელის თითები გაშლილი და ზევით აღმართულია, მარჯვენა ხელის თითები გაშლილია და ზედა ფალანგებში მოხრილი, მარჯვენა ხელი რკალური ტრაექტორიით მოძრაობს მარცხნივ და ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სია“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით

აღმართული თითებით მიმართულია წინ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია ქვევით, მარჯვენა ხელი ქვევით მოძრაობს. ჟესტი სრულდება მხრების დონეზე.



**აღძვრა** – ამოძრავება, ამოქმედება, გამოწვევა

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარცხენა ხელის ქვეშ განთავსებული მარჯვენა ხელისგული მიმართულია მარჯვნივ, საჩვენებელი და ცერი თითები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია ზევით, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ზევით და ხელი და ზემოდან ედება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**აცილება** – თანამდებობაზე უარის თქმა

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ზევით აღმართულია ცერები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად; ხელები მარჯვნივ მოძრაობს კლაკნილი ტრაექტორიით. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



**აჭარა** – საქართველოს კუთხე ზღვის რეგიონში

ერთხელიანი, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული გაშლილი და ქვემოთ მიმართული თითებით, ხელი ყურთანაა მიტანილი, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.



**ახსნა** – რამის რაობის გაგება, გარკვევა, გამოცნობა, განმარტება

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგულები, შუა და ცერი თითები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ბოლო ფაზაში თითები ფართოდაა გაშლილი. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.

**აჯანყება** – ამბოხება, მასობრივი შეიარაღებული გამოსვლა ვისიმე ან რისამე წინააღმდეგ



ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და წინ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელი მარცხენას ზემოთაა განთავსებული, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა და მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულის ზურგს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

**ბაზა** – საფუძველი, საყრდენი, თავმოსაყრელი ან დასაყრდენი პუნქტი რაიმე მოქმედებისათვის





ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ბანკი“ – ხელისგულები გაშლილი თითებით ქვევითაა მიმართული ერთმანეთის პარალელურად, მარჯვენა ხელი მარცხენას ზემოთაა, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულის ზურგს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შემოღობილი“–

ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები ზევით აწეული ცერებით და მუშტად შეკრული თითებით, ერთმანეთთან ახლოს მიტანილია ხელები, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა და წრე გამოისახება. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და წელის დონეზე.



**ბანკი** – მსხვილი ფინანსური დაწესებულება, სადაც ხდება ფულადი სახსრების თავმოყრა და ფინანსური ოპერაციების წარმოება

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ფული" – ხელისგული ზევითაა მიმართული, მარჯვენა საჩვენებელი და შუა თითების წვერებს განმეორებითი მოძრაობით ეხება ცერი, დანარჩენი თითები ჩაკეცილია; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული სიტყვა-ჟესტი „ბანკი" – ხელისგულები ქვევითაა მიმართული და ერთმანეთის პარალელურად გაშლილია ხელები, მარცხენა ხელი ზემოთაა განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულის ზურგს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ბარათი** – წერილი, პატარა ზომის ფურცელი

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია ცერი და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სრულდება განმეორებითი განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ბატონობა** – ბატონად ყოფნა, ბატონის მდგომარეობა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ბატონი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ფალანგებში მოხრილი თითებით, ხელი ეხება სხეულს მხართან ჯერ მარცხნივ, მერე - მარჯვნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დამოუკიდებელი“ – გაშლილია ცერი და საჩვენებლი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ხელისგული სხეულისკენაა მიმართული, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**ზელადი** – მეამბოხეთა ჯგუფის წინამძღოლი, მებრძოლთა მეთაური

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გმირი“ – ხელისგულები ქვევითაა მიმართული შეკრული მუშტებით, სრულდება ქვევით მიმართული განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ქვევით მიემართება, მარცხენა – მარცხნივ და ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მთავარი“ – ზევით განთავსებულია სხეულისკენ მიმართული მარჯვენა ხელი მუშტად შეკრული თითებით და ზევით აღმართული ცერით, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა  ქვევით და ხელი ეხება მუშტად შეკრული თითებით სხეულისკენ მიმართულ მარცხენა ხელს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ზერკეტი** – საყრდენ წერტილზე მოძრავად დაყენებული ძელაკი (რითიც შესაძლებელია მცირე ძალის მეშვეობით მძიმე ტვირთის დაძვრა)

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები ერთნაირი კონფიგურაციით: გაშლილია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ, ხელი ეხება მარცხენა საჩვენებელ თითს. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



**ბეჭდვა** – დაბეჭდვა, დადასტურება

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ბიბლიოგრაფია** – წიგნების მეცნიერულად სისტემატიზებული აღნუსხვა-აღწერა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „წიგნი“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით ზევითაა მიმართული, მარჯვენა ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარცხენა ხელისგულის ზედაპირზე მარჯვენა ხელი განმეორებად მოძრაობას ასრულებს მარჯვნივ-მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „აღწერა“ / “ჩამონათვალი“ – წინ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი თითების წვერებს ეხება ცერები, სრულდება ორჯერადი (ან სამჯერადი) სპირალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ბიბლიოთეკა** – წიგნთსაცავი, დაწესებულება, სადაც საზოგადოებრივი სარგებლობისათვის თავს უყრიან წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „წიგნი“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით ზევითაა მიმართული, მარჯვენა ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარცხენა ხელისგულის ზედაპირზე მარჯვენა ხელი განმეორებად მოძრაობას ასრულებს მარჯვნივ-მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „თარო“ – მარცხნივ მიმართულია ხელისგული გაშლილი თითებით, სრულდება მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და სახის დონეზე.



**ბიოგრაფია** – თხზულება, რომელშიც აღწერილია ამა თუ იმ პირის ცხოვრება და მოღვაწეობა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ხასიათი“ – ხელისგული მიმართულია ქვევით, ცერი და საჩვენებელი თითი ერთმანეთს ეხება, დანარჩენი თითები ჩაკეცილია,

სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი ეხება მკერდს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ისტორია“ – ხელისგული მიმართულია წინ და მარცხნივ, ცერი და შუა თითი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**ბიულეტენი** – მოკლე ოფიციალური ცნობა ავადმყოფობის შესახებ

ორნაწილიანი, დინამიკური ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ავად ყოფნა“ – მარჯვენა ხელისგული მიმართულია წინ და ქვევით, ცერი და საჩვენებელი თითების წვერები ერთმანეთს ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ხელი ზევით-ქვევით მოძრაობს და ზევიდან ეხება გაშლილი და  ქვევით მიმართული მარცხენა ხელისგულის ზედაპირს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური სიტყვა-ჟესტი „ფურცელი“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება ჯერ განსვლითი, შემდეგ კი – ქვევით მიმართული სინქრონული მოძრაობა.  ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**ბიურო** – ხელმძღვანელი ან განმკარგულებელი არჩევითი ორგანო, ზოგიერთი დაწესებულების ან ორგანიზაციის სახელწოდება

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, მუშტად შეკრულია თითები, ქვევით დაშვებული და გაშლილია ცერები, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა რკალური ტრაექტორიით და წრე იხაზება. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ბიუროკრატია** – ბიუროკრატიულ ფორმალობაზე დაფუძნებული მმართველობის სისტემა, სადაც არსობრივს ფორმალიზმი სჭარბობს

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „საბუთი“ – მარჯვენა ხელისგული ქვევითაა მიმართული მუშტად შეკრული თითებით, მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით ზევითაა მიმართული, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გადის“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები, გაშლილია და ფალანგებში მოხრილია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები კრავენ მუშტებს, ორივე ხელით

სრულდება რკალური ტრაექტორიის სინქრონული მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ბიუჯეტი** – ხარჯთაღრიცხვა, სახელმწიფოს, ამა თუ იმ დაწესებულების, საწარმოს შემოსავალ-გასავლის ნუსხა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ფული“ – ხელისგული ზევითაა მიმართული, მარჯვენა საჩვენებელი და შუა თითების წვერებს განმეორებითი მოძრაობით ეხება ცერი; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გეგმა“ – მარჯვენა ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელი გაშლილი თითების წვერებით ეხება მარცხენა ხელისგულს და იცვლის პოზიციას: ბოლოო ფაზაში მარჯვენა ხელისგული სხეულისკენაა მიმართული და გაშლილი თითების წვერებით ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



**ბიძგი** – ხელის ან მხრის კვრა, იმპულსი

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით, ხელი წინ მოძრაობს. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



**ბლანკი** – 1. ქაღალდის ფურცელი, რომლის თავზეც დაბეჭდილია დაწესებულების ან ფირმის რეკვიზიტები; 2. ნაბეჭდი ფურცელი (ტრაფარეტი), რომლის ცარიელ ადგილებს ავსებენ სათანადო ჩანაწერებით

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური სიტყვა-ჟესტი „ფურცელი" – ერთმანეთისკენ მიმართულია ერთმანეთთან ახლოს განთავსებული ხელისგულები, საჩვენებელი თითები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება ჯერ განსვლითი, შემდეგ კი ქვევით მიმართული მოძრაობა; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ბეჭედი" / „ემბლემა" – მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული  თითებით, მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული,

ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარცხნივ და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.



**ბრალდება** – დაბრალება, ბრალის დადება, დამნაშავედ მიჩნევა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ბრალი“ – ქვევით მიმართულია ტუჩების წინ განთავსებული ხელისგული, შუა და საჩვენებელი თითები ეხება ცერს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური ჟესტი – ხელისგული წინ და ქვევითაა მიმართული, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად. ჟესტი სრულდება სახისა და მკერდის დონეზე.



**ბრალდებული** – ვისაც ბრალი ედება, სამართალში მიცემული პირი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ბრალი“ – ქვევით მიმართულია ტუჩების წინ განთავსებული ხელისგული, შუა და საჩვენებელი თითები ეხება ცერს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“– ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახის, მკერდისა და მხრების დონეზე.



**ბრალი** – დანაშაული, შეცოდება

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ტუჩების წინ განთავსებული ხელისგული, შუა და საჩვენებელი თითები ეხება ცერს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.



**ბრალმდებელი** – ვინც სამართალში მიცემულ პირს ბრალს სდებს, ვინც სასამართლოში ბრალდებას ასაბუთებს, პროკურორი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ბრალი“ – ქვევით მიმართულია ტუჩების წინ განთავსებული ხელისგული, შუა და საჩვენებელი თითები ეხება ცერს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სხეულისკენ და მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, მარჯვენა ხელი მარცხნივ მოძრაობს და საჩვენებელი თითით ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



**ბრბო** – ადამიანთა უწესრიგო გროვა, არაორგანიზებული, ბნელი სულისკვეთების ხალხი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ბაზარი“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და წინ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელი

მარცხენას ზემოთაა განთავსებული, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა და მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულის ზურგს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**ბროშურა** – პატარა ნაბეჭდი წიგნაკი

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „რეკლამა“ – წინ მიმართულია ხელისგულები, მარჯვენა ხელის თითები გაშლილია, მარცხენა ცერი ეხება შუა თითს, დანარჩენი თითები გაშლილია, სრულდება ხელის პოზიციათა და კონფიგურაციათა მონაცვლეობითი, განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური სიტყვა-ჟესტი „ფურცელი“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება ჯერ განსვლითი, შემდეგ კი ქვევით მიმართული სინქრონული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**ბრძანება** – განკარგულება, ხელისუფლების ან უფლებამოსილი პირის განკარგულება, რომლის შესრულებაც სავალდებულოა

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია მარცხნივ, მარცხენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია სხეულისკენ, მარჯვენა ხელი ზემოთაა განთავსებული და მოძრაობს მარცხნივ და ქვევით, ხელი ეხება მარცხენა საჩვენებელ თითს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ბუნებრივი** – რაც ბუნებას ეკუთვნის, რაც ბუნებისაგან გამომდინარეობს, ბუნებისმიერი, ბუნებისეული, ნამდვილი, ნატურალური

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ბუნება“ / „ჰაერი“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ზევით აღმართული თითებით. მარჯვენა ხელი მარცხენასთან შედარებით ზევითაა განთავსებული, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ, ხელები ერთმანეთს უახლოვდება და შორდება, ბოლოო ფაზაში ერთმანეთზე გადაჯვარედინებულია ხელები იმავე კონფიგურაციებით; ჟესტის მეორე ნაწილია

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ნამდვილი“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ბჭობა** – თათბირი, განსჯა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სხდომა“ – წინ მიმართულია ხელისგულები გაშლილი თითებით და ჩაკეცილი ცერებით, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის სინქრონული მოძრაობა, ხელები მაჯაში ტრიალდება და ბოლო ფაზაში ხელისგულები სხეულისკენაა მიმართული იმავე კონფიგურაციით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „კითხვა-საუბარი“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელისგული ქვევითაა მიმართული, გაშლილი საჩვენებელი თითი ეხება მარცხენა ხელისგულს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**გაბათილება** –
გაუქმება, ანულირება

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია სხეულისკენ, მარცხენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელის თითები მსუბუქად ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მიემართება. ჟესტი სრულდება მხრების დონეზე.



**გაბატონება** –
ბატონად გახდომა, ბატონად ქცევა ვინმეზე (რაიმეზე) ძალაუფლების მოპოვება, ვინმეს ან რაიმეს დამორჩილება

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დაპყრობა“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში მოხრილი თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის განსვლითი
მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ, შემდეგ ფაზაში ქვევით მიმართულია ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ბატონი“ -– სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ფალანგებში მოხრილი თითებით, ხელი ეხება მკერდს ჯერ მარცხნივ, შემდეგ მარჯვნივ. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



**გაბატონებული** – ბატონად გამხდარი, ბატონად ქცეული, უპირატესი

სამნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დაპყრობა“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში მოხრილი თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ, შემდეგ ფაზაში ქვევით მიმართულია ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ბატონი“ –სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ფალანგებში მოხრილი თითებით, ხელი ეხება მკერდს ჯერ მარცხნივ, შემდეგ მარჯვნივ; ჟესტის მესამე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „უკვე“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**გადალახვა** – ბარიერზე გადასვლა

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური ფორმა, ხელისგულები ქვევითაა მიმართული გაშლილი და ზედა ფალანგებში ერთად მოხრილი თითებით, მარჯვენა ხელი მარცხენას ზევით

და სხეულისკენ არის განთავსებული, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ და ზევით, მარჯვენა ხელი მარცხენას წინ გადაადგილდება. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**გადამწყვეტი** – ის ვინც (ან რაც) გადაწყვეტს რამეს, საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გადაწყვეტილება“ – ხელისგულები გაშლილი და ქვევით დაშვებული თითებით სხეულისკენაა მიმართული, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**გადარჩევა** – 1. გარჩევით გამოყოფა, გადაწყობა, გამოკრეფა, 2. ხელახლა არჩევა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „არჩევა“ – წინ და მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი თითებით, წინ წაწეულია ცერი და საჩვენებელი თითი, მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მარჯვნივაა მიმართული, მომდევნო ფაზაში მარჯვენა ხელი ზევით და სხეულისკენ გადაადგილდება რკალური ტრაექტორიით, საჩვენებელი და ცერი თითები ერთმანეთს წვერებით ეხება; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შეცვლა“ – ხელისგულები ქვევითაა მიმართული, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ბოლო ფაზაში ხელისგულები ზევითაა მიმართული, საჩვენებელი და შუა თითები პოზიციას ინაცვლებენ, შუა თითები ზემოთაა წამოწეული. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



**გადასახადი** – ფულადი შესატანი, საკანონმდებლო წესით დადგენილი სავალდებულო შესატანი სახელმწიფო ბიუჯეტში საწარმოების თუ მოსახლეობის მიერ

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი,

ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი –
მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით ზევითაა მიმართული,ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელისგული ქვევითაა მიმართული, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები მუშტადაა შეკრული, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური ფორმა – ხელისგული წინაა მიმართული მუშტად შეკრული თითებით და ცერზე შემოხვეული საჩვენებელი თითით, სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ, ბოლო ფაზაში წინ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად. ჟესტი სრულდება მკერდისა და მხრების დონეზე.



**გადატრიალება** – გადაბრუნება

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ფართოდ გაშლილი თითები, მარჯვენა ხელი ზემოთაა განთავსებული, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**გადაუდებელი** – რისი გადადებაც არ შეიძლება, სასწრაფოდ, დაუყოვნებლივ შესასრულებელი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გადადება“ / „გადადგმა“ – ხელისგულები გაშლილი და წინ მიმართული თითებით ერთმანეთისკენაა მიმართული, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის სინქრონული მოძრაობა მარჯვნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „არა“ / „უარყოფა“ – წინ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**გადაფასება** – 1. ახალი ფასის დადება, დაწესებული ფასის შეცვლა; 2. არსებულ შეხედულებათა შეცვლა, სხვაგვარად შეფასება

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ფასი“ – ხელისგულები ერთმანეთისკენაა მიმართული, გაშლილი და წინ მიმართულია მარჯვენა ხელის საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად,

სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და გაშლილი თითებით მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა გაშლილ ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შეცვლა“ – ხელისგულები ქვევითაა მიმართული, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ბოლო ფაზაში ხელისგულები ზევითაა მიმართული, საჩვენებელი და შუა თითები პოზიციას ინაცვლებენ, შუა თითები ზემოთაა წამოწეული. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



## გადაწყვეტა –

დასკვნა, საბოლოო განზრახვის მიღება

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ხელისგულები გაშლილი და ქვევით დაშვებული თითებით სხეულისკენაა მიმართული, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**გაზეთი** – პერიოდული (ყოველდღიური, ყოველკვირეული...) გამოცემა ფურცლების სახით, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების შესახებ

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი თითებით, მარცხენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია ზევით, მარჯვენა ხელი ასრულებს განმეორებად, წრიულ მოძრაობას და ეხება მარცხენა ხელს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**გათანაბრება** – გატოლება, ვინმეს ან რამის უპირატესობის აღმოფხვრა, დაძლევა

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი თითებით, ხელები ერთმანეთის მიმართულებით მოძრაობს და ეხება ერთმანეთს. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.



## გათვალისწინება

– რაიმეს წინასწარ განსაზღვრა, წინასწარ მხედველობაში მიღება, წარმოდგენა, განჭვრეტა

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით, მარცხენა – წინ, ორივე ხელზე გაშლილია ცერი, საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სრულდება მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



## გამაერთიანებელი

– შემაერთებელი, გამამთლიანებელი, შემაკავშირებელი; შემამჭიდროებელი, მაერთებელი

ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გაერთიანება“ – ზევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ზევით წამოწეული თითებით, ხელები მაჯაში ტრიალდება შიდა მიმართულებით, მომდევნო ფაზაში ხელისგულები სხეულისკენაა მიმართული ქვევით დაშვებული თითებით, ცერები ეხება გაშლილი თითების წვერებს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ფორმა – ხელისგულები სხეულისკენაა მიმართული ქვევით დაშვებული, ერთმანეთთან ახლოს მიტანილი საჩვენებელი თითებით, დანარჩენი თითები კრავენ მუშტებს, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა რკალური

ტრაექტორიით და წრე აისახება. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**გამგე** – ვინც მმართველობს, გამგებლის მოვალეობას ასრულებს, განაგებს, მართავს

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მუშტებად შეკრული თითებით და ცერებზე შემოხვეული საჩვენებელი თითებით ხელისგულები მიმართულია ერთმანეთისკენ, სრულდება მოძრაობა უკან, სხეულისკენ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**გამგეობა** – მმართველობა, მართვა, ხელმძღვანელობა

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ხელისგული სხეულისკენაა მიმართული, გაშლილია თითები და ქვევით ჩაწეული შუა თითი ეხება ყელს, მომდევნო ფაზაში ცერი და საჩვენებელი თითი ერთმანეთს წვერებით ეხება და წრეს კრავს, დანარჩენი თითები გაშლილია, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



**გამოვლენა –** გამოჩენა, გამომჟღავნება, გამოაშკარავება

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, სხეულისკენ მიმართულია ზევით განთავსებული მარცხენა ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები კრავენ მუშტს, სრულდება პოზიციათა და კონფიგურაციათა განმეორებადი მონაცვლეობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**გამოკითხვა –** ინფორმაციის მოპოვება შეკითხვების მეშვეობით, კითხვა-კითხვით საუბარი

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, მარჯვენა ხელისგული მიმართულია მარცხნივ, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა საჩვენებელი თითი მარცხენა ხელისგულის ზედაპირზე ასრულებს განმეორებად მოძრაობას წინ და უკან. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**გამომცემელი –**
ვინც გამოაქვეყნებს,
გამოუშვებს,
დაბეჭდავს,
გამოსცემს

რთული ჟესტის პირველ ნაწილში წარმოდგენილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დაბეჭდვა“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გაგზავნა“ – იდაყვში მოხრილი ხელით მარჯვენა ხელისგული მიმართულია მარცხნივ, მარჯვენა მაჯის ქვეშ განთავსებული მარცხენა ხელისგული სხეულისკენაა მიმართული, ორივე ხელის თითები გაშლილია და ფალანგებში ოდნავ მოხრილი, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა წინ; ჟესტის მესამე, ბოლო ნაწილშია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**გამომწვევი** – გამომხმობი, დამძახებელი, დამბარებელი, მიზეზი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დაწყება“ – ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, მარჯვენა ხელისგული მიმართულია წინ, მუშტად შეკრული თითებით და ზევით აღმართული, გაშლილი საჩვენებელი თითით მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ზევით მიემართება; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მიზეზი“ — მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით მიმართულია მარცხნივ და მარცხენა ხელისგულის ზედაპირზე ასრულებს განმეორებად, წრიულ მოძრაობას. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**გამონაკლისი** – საერთო წესიდან გასული, გამოკლებული, თავისებური

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია წინ წაწეული ხელისგულები გაშლილი თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ

და უკან, ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**გამოსავალი** – საიდანმე გამოსასვლელი გზა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გზა“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ქვევით დაშვებული თითებით, ორივე ხელით სრულდება კლაკნილი ტრაექტორიის, სინქრონული მოძრაობა წინ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მიზანი“ – ერთმანეთისკენ მიმართულია წინ წაწეული ხელისგულები გაშლილი თითებით, მარჯვენა ხელი წინ გადაადგილდება და ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**გამოტოვება** – სიტყვის გამორჩენა, გაცდენა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სიტყვა“ – მარცხენა ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული მიმართულია მარცხნივ და სხეულისკენ,

გაშლილი და ოდნავ მოხრილი ცერი და საჩვენებელი თითით  გამოსახულია ღია წრე, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ხელი მოძრაობს წინ და ეხება მარცხენა საჩვენებელ თითს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გამოკლება“  – მარჯვენა ხელისგული მიმართულია ზევით, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ზემოთ განთავსებული მარცხენა ხელისგული მიმართულია ქვევით, გაშლილი და მარჯვნივ მიმართულია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, მარჯვენა ხელი გადაადგილდება ზევით და სხეულისკენ. ჟესტი სრულდება  მკერდის დონეზე.



**გამოქვეყნება** –    დაბეჭდვა, გავრცელება, გახმაურება

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ხელი იდაყვში მოხრილია, ხელისგული მიმართულია მარცხნივ, შუა თითი და ცერი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, სრულდება მოძრაობა წინ რკალური ტრაექტორიით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მხრების დონეზე.




**გამოყოფა** – ტერიტორიის, ფართის, ოთახის მიცემა

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, მარცხენა ხელისგულის ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ჯერ მარჯვნივ, მერე – მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**გამოცხადება** – ინფორმაციის, ცნობის ან ამბის გამოქვეყნება, საჯაროდ გამოტანა, გამომზეურება (ზოგადად)

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სახისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება ქვევით მიმართული განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ქვევით გადაადგილდება, მარცხენა - მარცხნივ და ქვევით; ბოლო ფაზაში ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, მოხრილია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მხრების დონეზე.



**გამოძიება –**
გამოკვლევა, გამორკვევა. ძიების ჩატარება, დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებული ვითარების შესწავლა

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, მარჯვენა ხელისგული მიმართულია მარცხნივ, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა საჩვენებელი თითი მარცხენა ხელისგულის ზედაპირზე ასრულებს განმეორებად მოძრაობას წინ და უკან. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**გამჭვირვალე –** რაშიც სინათლე გადის, რაშიც მზერა აღწევს გამჭოლად

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი თითებით, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და მოძრაობს წინ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**განაწესი** –
იურიდიული დოკუმეტი ამა თუ იმ იურიდიული პირის უფლება-მოვალეობათა შესახებ

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „კანონი“ / „დებულება“ – მარჯვენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია ქვევით, მარცხენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია წინ, ხელები თითების წვერებით ერთმანეთს მსუბუქად ეხება, მარჯვენა ხელი ქვევით მოძრაობს და ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „წესი“ – წინ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**განმარტება** –
ახსნა, განსაზღვრა, გასაგებად, ნათლად გადმოცემა

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგულები, ცერები და შუა თითები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ბოლოო ფაზაში თითები ფართოდაა გაშლილი. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



## განმარტებითი

– რაც ხსნის, განსაზღვრავს, გასაგებად, ნათლად გადმოცემს

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სიტყვა“ – ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სიტყვა“ – მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, წრიულად მოხრილი თითებით გამოსახულია ღია წრე, მარცხენა ხელისგული მიმართულია მარჯვნივ, გაშლილია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელი მოძრაობს მარცხნივ და ეხება მარცხენა საჩვენებელ თითს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ახსნა“ / „განმარტება“ – წინ მიმართულია ხელისგულები, ცერი და შუა თითები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ბოლოო ფაზაში თითები ფართოდაა გაშლილი; ჟესტის ბოლო ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ლექსიკონი“ – მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, წრიულად მოხრილი თითებით გამოსახულია ღია წრე, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, მარჯვენა ხელი წინ და ქვევით მოძრაობს. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



## განმარტებული

– რაც ახსნეს, განსაზღვრეს, განმარტეს

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სიტყვა“ – ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სიტყვა“ – მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, წრიულად მოხრილი ცერით და საჩვენებელი თითით გამოსახულია ღია წრე, მარცხენა ხელისგული მიმართულია მარჯვნივ, გაშლილია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელი მოძრაობს მარცხნივ და ეხება მარცხენა საჩვენებელ თითს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ახსნა“ / „განმარტება“ – წინ მიმართულია ხელისგულები, შუა და ცერი თითები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ბოლო ფაზაში თითები ფართოდაა გაშლილი. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



## განცხადება

– საქვეყნოდ თქმა, გამომჟღავნება, წერილობითი ან ზეპირი უწყება, ცნობება რაიმეს ან ვინმეს შესახებ

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ფორმა, მარჯვენა ხელისგული მიმართულია მარცხნივ, მარცხენა – მარჯვნივ,

ერთმანეთზე მიდებულია ხელისგულები გაშლილი თითებით, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შეტანა“ – მარცხნივ მიმართულია ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, სრულდება მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**განხილვა** – გარჩევა, გარკვევა, განსჯა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ნახვა“ – ხელისგული მიმართულია სახისკენ, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა წინ და ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შემოწმება“ - ხელისგულები წინ და ქვევითაა მიმართული, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



**განხორციელება –** შესრულება

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, გაშლილი და ერთმანეთთან შეტყუპებული თითებით მარცხენა ხელისგული მიმართულია მარჯვნივ, იმავე კონფიგურაციით მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით, მარჯვენა ხელი წინ მოძრაობს და ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**გარემო –** არემარე, მიდამო, რაიმეს გარემომცველი ადგილი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „წრე“ / „ირგვილივ“ — წინ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ერთმანეთთან შეტყუპებული თითებით, ორივე ხელით სრულდება წინ მიმართული რკალური ტრაექტორიის სინქრონული მოძრაობა და მომდევნო ფაზაში ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „არე“/ „ადგილი“ – ქვევით მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით, სრულდება განმეორებადი წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



## გარეუბანი –

არაცენტრალური უბანი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „უბანი“ — ერთმანეთისკენ მიმართულია და ერთმანეთთან ახლოს მიტანილია ხელისგულები, ცერი და საჩვენებელი თითი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა წინ; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „არე“/ „ადგილი“ – ქვევით მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით, სრულდება განმეორებადი წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



## გარკვევა

გამოკვლევა, გამოძიება, განსაზღვრა, ნათელყოფა

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ხელისგულები წინ და ქვევითაა მიმართული, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**გასამართლება** – სასამართლოში საქმის გარჩევა, განაჩენის ან გადაწყვეტილების გამოტანა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მართალი“ – სახისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ერთმანეთთან შეტყუპებული თითებით, ხელი სახისკენ მოძრაობს და ეხება ლოყას, ორნაწილიანი ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სასამართლო“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, საჩვენებელი და ცერი თითები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილი და ქვევით მიმართულია, ორივე ხელით სრულდება მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



**გაუგებრობა** – ბუნდოვანება, გაურკვევლობა, რაიმეს ვერგაგება ან მცდარად გაგება

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ვერ“ – ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილი და ფალანგებში მოხრილი საჩვენებელი თითი ჯერ ცხვირს ეხება, შემდეგ – ნიკაპს, თითები მუშტადაა შეკრული; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შემთხვევა“ – წინ მიმართულია ხელისგულები

ფართოდ  გაშლილი თითებით, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა შიდა  მიმართულებით და ბოლო ფაზაში ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



**გაუთვალისწინებელი** – რაიმეს წინასწარ არგანსაზღვრა, წინასწარ მხედველობაში არმიღება, მოულოდნელი რამ

ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე" – მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გათვალისწინება" – მარჯვენა ხელისგული მიმართულია  ქვევით, მარცხენა – წინ, ორივე ხელზე გაშლილია ცერი, საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სრულდება მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



**გაუმჯობესება** – უკეთესობის დატყობა, უკეთესად გახდომა

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და ქვევით დაშვებული თითებით, მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზემოთ აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელი მოძრაობს ზევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**გაურკვეველი** – გამოუკვლეველი, გამოუძიებელი, განუსაზღვრელი, ბუნდოვანი, გაუგებარი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ვერა“ – მარცხნივ მიმართულია ხელისგული, გაშლილია ცერი და ნეკი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, რკალური ტრაექტორიით სრულდება მოძრაობა წინ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შემოწმება“ – ხელისგულები წინ და ქვევითაა მიმართული, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**გაუქმება** – უარყოფა, ანულირება

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია სხეულისკენ, მარჯვენა ხელი მსუბუქად ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს ჯერ გარეთა მიმართულებით და შემდგომ კი – შიდა მიმართულებით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**გაფორმება** – 1. ფორმის მიცემა; 2. ჩანაწერის გაკეთება

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ფორმა“ – წინ და ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ზევით აღმართულია ცერები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება ტალღური ტრაექტორიის სიმეტრიული მოძრაობა ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური სიტყვა-ჟესტი „წერა“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, მარცხენა ხელისგულის ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით, თითები ერთად მოხრილია ზედა

ფალანგებში და ცერი ეხება საჩვენებელი თითის წვერს, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა მარჯვნივ და ხელი მსუბუქად ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მესამე ნაწილია

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ბეჭდვა“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია სახის, მხრებისა და მკერდის დონეზე.



**გაძღოლა** – წინ სვლა და გზის ჩვენება, ხელმძღვანელობა, თაოსნობა

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია ქვევით, მუშტად შეკრული თითებით და ზევით აწეული ცერით მარცხენა ხელისგული მიმართულია მარჯვნივ, ორივე ხელი მარცხნივ მოძრაობს სინქრონულად. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



**გეგმა** – 1. ნახაზი, რომელიც გამოხატავს რაიმე საგანს; 2.ღონისძიებათა, მოქმედებათა წინასწარ შემუშავებული სისტემა, რომელიც ითვალისწინებს სამუშაოთა შესრულების წესს, თანამიმდევრობას, ვადებს

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით, გაშლილია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა და ხელი გაშლილი თითებით ეხება მარცხენა ხელისგულს, ბოლო ფაზაში მარჯვენა ხელისგული მიმართულია სხეულისკენ და გაშლილი თითებით ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**გრაფიკი** – სქემა

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი თითებით, ხელისგულები ერთმანეთთანაა განთავსებული, მარჯვენა ხელი ქვევით მოძრაობს და სამგან ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.



**დაარსება** – საფუძვლის ჩაყრა, დაფუძნება, შექმნა, გახსნა

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ერთმანეთთან ახლოს მიტანილი ხელისგულები ფალანგებში მოხრილი და ქვევით დაშვებული თითებით, რკალური ტრაექტორიით სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**დაგეგმილი** – წინასწარ შემუშავებული, გათვლილი (ღონისძიება, საქმე

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გეგმა“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული მიმართულია მარცხნივ, გაშლილი და მარცხნივ მიმართულია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელი გაშლილი თითებით ეხება მარცხენა ხელისგულს, ბოლო ფაზაში იმავე კონფიგურაციით მარჯვენა ხელისგული მიმართულია სხეულისკენ; ჟესტის მეორე ნაწილია სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მომზადება“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი

და წინ მიმართულია საჩვენებელი თითები, გაშლილი და ზევით აღმართულია ცერები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, სინქრონული მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**დაგმობა** – უარყოფა, ნეგატიური შეფასება, ხელის აღება

ერთხელიანი, სტატიკური ჟესტი, სხეულისკენ და ზევით მიმართულია ხელისგული, საჩვენებელი თითი და ცერი ერთმანეთს ეხება წვერებით და ეხება ნიკაპს, დანარჩენი თითები გაშლილია, მომდევნო ფაზაში ქვევით მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით. ჟესტი სრულდება სახისა და მკერდის დონეზე.



**დადასტურება** – დასტურის მიცემა, დამტკიცება, დამოწმება

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ერთმანეთის მიმართულებით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**დადასტურებული** –
დამტკიცებული, დამოწმებული,
რაც დაადასტურეს ან დადასტურდა

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, ერთმანეთს წვერებით ეხება გაშლილი საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**დავალება** –
შესასრულებლად დაკისრებული საქმე, სამუშაო, ამოცანა

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მუშტად შეკრული თითებით წინ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, სხეულისკენ მიმართულია მარცხენა  ხელისგული გაშლილი და ოდნავ მოხრილი თითებით, ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელი ქვევით მოძრაობს და მარცხენა მაჯას ედება ზემოდან ბოლო ფაზაში გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები კრავენ მუშტს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**დავალიანება** –
ვალებში ჩავარდნა, ვალების ქონა, ოფიციალური ვალი (დაწესებულებისა)

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა სხეულისკენ და გაშლილი თითებით ხელი ეხება ყელს. ჟესტი წარმოდგენილია ყელის დონეზე.



**დაზუსტება** – (რაიმეს) უფრო ზუსტად, ზედმიწევნით გარკვევა

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვენა ხელისგული მიმართულია წინ და ქვევით, ცერი და საჩვენებელი თითების წვერები ერთმანეთს ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, მარცხენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია სხეულისკენ, ხელები ერთმანეთს ეხება, სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი ზევით გადაადგილდება, მარცხენა – ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**დაზღვევა** – თადარიგის დაჭერა ყოველგვარი პასუხისმგებლობის, უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური ფორმა, სხეულისკენ და ზევით მიმართულია ხელისგული წრიულად მოხრილი თითებით, ხელი ეხება მკერდს, სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დაცვა“ – წინ მიმართულია ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**დათმობა** – სხვის სასარგებლოდ რამეზე ხელის აღება, ნებით მიცემა, დანებება (რაიმესი)

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთზე მიდებულია ზედა ფალანგებთან გადაჯვარედინებული საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრავენ მუშტებად, ორივე ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**დამთავრება** – დასრულება, მორჩენა

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული, გაშლილი და მარჯვნივ მიმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარცხნივ მიმართულია ოდნავ ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით რკალური ტრაექტორიით და გაშლილი თითები ერთმანეთს მსუბუქად ეხება. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**დაფინანსება** – თანხით უზრუნველყოფა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ფინანსები" – მუშტად შეკრული თითებით და მოხრილი საჩვენებელი თითებით ხელისგულები მიმართულია ქვევით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ზევით-ქვევით, ხელი ეხება მარცხენა საჩვენებელ თითს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ბანკი" – ქვევით მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი თითებით, მარჯვენა

ხელი ზედ ადევს მარცხენას, ორივე ხელი ქვევით მოძრაობს ერთად. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**დაწყება** – წამოწყება, დასაბამი, სათავე, დასაწყისი

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, მარჯვენა ხელისგული მიმართულია წინ, მუშტად შეკრული თითებით და ზევით აღმართული, გაშლილი საჩვენებელი თითით მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ზევით მიემართება. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**დაჯარიმება** – ჯარიმის დადება, ჯარიმის გადახდევინება

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული მიმართულია მარცხნივ, გაშლილია არათითი, შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, მარჯვენა ხელით სრულდება

რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.




**დონორი** –
1. ადამიანი, რომელიც თავის სისხლს იძლევა ავადმყოფისათვის გადასასხმელად; 2. პირი, რომლის რაიმე ორგანოს გადაუნერგავენ სხვას; 3. დამფინასებელი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სამედიცინო დახმარება“ – სხეულისკენ მიმართულია მარცხენა მკლავთან განთავსებული ხელისგული, გაშლილი საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, საჩვენებელი თითი ჯვარს წერს მარცხენა მკლავზე; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დახმარება“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული მიმართულია მარცხნივ, გაშლილია ცერი, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ევროპა** – დედამიწის ერთ-ერთი ნაწილი, კონტინენტი, რომელსაც აღმოსავლეთით ესაზღვრება აზია, დასავლეთით ატლანტის ოკეანე, სამხრეთით – ხმელთაშუა და შავი ზღვა, ჩრდილოეთით – ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით, წრიული ტრაექტორიით სრულდება მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ეთიკა** – მოძღვრება ზნეობის, მორალის, ადამიანის ყოფაქცევის წესთა შესახებ

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ნიკაპთან განთავსებული ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილი ცერი და საჩვენებელი თითებით ღია წრეა გამოსახული და თითები ეხება ლოყებს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



**ეკონომიკა** – ადამიანთა წარმოებითი ურთიერთობების ერთობლიობა

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, მარცხნივ მიმართულია ხელისგული, გაშლილია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა მარცხნივ, თითი ეხება ნიკაპს. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.



**ელიტა** – ადამიანთა დაწინაურებული, წარმატებული ჯგუფი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „საზოგადოება“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ქვევით მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია  მუშტებად, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის სინქრონული მოძრაობა და ხელები ერთმანეთს უახლოვდება; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ეთიკა“ – ნიკაპთან განთავსებული ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილი ცერი და საჩვენებელი თითებით ღია წრეა გამოსახული და თითები ეხება ლოყებს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძარაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



**ერი** – ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოშობილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური ცხოვრებისა და ფსიქიკური წყობის ერთობის ბაზაზე

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია მარჯვნივ, თითები ეხება შუბლს, რკალური ტრაექტორიით სრულდება მარჯვნივ და ქვევით მიმართული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.



**ერთიანობა** – მთლიანობა, ერთობა, განუყოფლობა, მონოლითურობა

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია განზე გაწეული ხელისგულები გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ერთმანეთისკენ და ბოლოო ფაზაში ქვევით მიმართულია ხელისგულები, ქვევით დაშვებული თითების წვერები ეხება ცერებს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ეროვნება** – გამაერთიანებელი სახელი ერისა, ხალხისა და ტომისა

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, გაშლილი და ზევით აღმართული თითების რხევით ხელი მსუბუქად ეხება ნიკაპს. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.



**ეროვნული**

– ერისა, ერთან დაკავშირებული, ერის დამახასიათებელი, ერისათვის განკუთვნილი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ეროვნება“ – გაშლილი და ზევით აღმართული თითების რხევით ხელი მსუბუქად ეხება ნიკაპს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მრავალფეროვნება“ – ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, ფართოდ გაშლილი და ზევით მიმართული თითების რხევით სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

**ეფექტი** – ძლიერი შთაბეჭდილება, ზემოქმედება



ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა სხეულისკენ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.





**ეფექტური** – ეფექტის მქონე, სასურველი შედეგის მომცემი, ქმედითი, შედეგიანი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „თვალი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართული საჩვენებელი თითი ეხება მარცხენა ლოყას თვალთან, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ეფექტი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა სხეულისკენ. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



**ექსპერიმენტი** – მეცნიერული ცდა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ცდა“ – მარცხნივ მიმართულია ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, გაშლილი და ზევით აღმართული ცერით, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, ცერი ეხება ნიკაპს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „.ანალიზი“ / „შემოწმება“ – ხელისგულები წინ და ქვევითაა მიმართული, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



**ექსპერტი** – საქმის მცოდნე, სპეციალისტი, რომელსაც იწვევენ რაიმე საკითხის, რაიმე საქმის შესახებ დასკვნის მისაცემად

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ცდა“– მარცხნივ მიმართულია ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, გაშლილი და ზევით აღმართული ცერით, სრულდება

განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, ცერი ეხება ნიკაპს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახის, მკერდისა და მხრების დონეზე.



**ექსპერტიზა** – საკითხის განხილვა ექსპერტების მიერ დასკვნის მისაცემად

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გამომძიებელი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, ცერი და საჩვენებელი თითი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, რკალური ტრაექტორიით სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი ეხება მკერდს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ცდა“ – მარცხნივ მიმართულია ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, გაშლილი და ზევით აღმართული ცერით, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, ცერი ეხება ნიკაპს; ჟესტის მესამე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „.ანალიზი“ / „შემოწმება“ – ხელისგულები წინ და ქვევითაა მიმართული, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



**ვადა** – დროის განსაზღვრული მონაკვეთი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური სიტყვა-ჟესტი „წერა“ / „ჩაწერა“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, მარცხენა ხელისგულის ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით, თითები ერთად მოხრილია ზედა ფალანგებში და ცერი ეხება საჩვენებელი თითის წვერს, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა მარჯვნივ და ხელი მსუბუქად ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი დინამიკური სიტყვა-ჟესტი „როდის?“ – მარჯვნივ მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული გაშლილი თითებით, ბოლო ფაზაში გაშლილი თითების წვერები ეხება ცერს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და სახის დონეზე.



**ვადაგასული** – რის ვადაც გათავდა; რასაც ვადა გაუვიდა, დროგასული

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი დინამიკური სიტყვა-ჟესტი „როდის?“ – მარჯვნივ მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული გაშლილი თითებით, ბოლო ფაზაში გაშლილი თითების წვერები ეხება ცერს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გასვლა“ –

ხელისგულები გაშლილი თითებით მიმართულია წინ, თითები მიმართულია მარცხნივ, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის სინქრონული მოძრაობა მარჯვნივ, ბოლო ფაზაში ხელისგულები გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით მიმართულია სხეულისკენ. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



**ვალდებულება** – მოვალეობა, სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი საჭიროების (ან შინაგანი მოთხოვნილების) მიხედვით აუცილებლად შესასრულებელი რამ

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ვალი** – სესხად აღებული ფული, ნისიად წაღებული საქონლის საფასური და სხვა მსგავსი თანხა, რომელიც უნდა იქნეს გადახდილი

ერთხელიანი დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული, გაშლილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები

შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა სხეულისკენ და ხელი გაშლილი თითებით ეხება ყელს. ჟესტი წარმოდგენილია ყელის დონეზე.



**ვარიანტი** – ვერსია, ნაირსახეობა, სახეცვლილება

ერთხელიანი, სტატიკური ჟესტი, ხელისგული მიმართულია მარცხნივ, თითები ერთად მოხრილია ზედა ფალანგებში და ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს, ხელი ეხება საფეთქელს, ჟესტი სრულდება სახის დონეზე.



**ვითარება** – მდგომარეობა, გარემოება, პირობები

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შეთანხმება“ – ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართული და ერთმანეთზე განთავსებულია ხელისგულები გაშლილი თითებით, ორივე ხელით სრულდება პოზიციათა მონაცვლეობითი მოძრაობა; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გავრცელება“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები, გაშლილია ნეკები და ცერები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით

სინქრონულად სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ზედმეტი** – იმაზე მეტი, რაც საჭიროა, ნავარაუდევია, მიღებულია, დადგენილია

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვენა ხელისგული მიმართულია წინ და ქვევით, ცერების და საჩვენებელი თითების წვერები ერთმანეთს ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, მარცხენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია სხეულისკენ, ხელები ერთმანეთს ეხება, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ზნეობა** – მორალი, ეთიკა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სიტყვა-ჟესტი „ჭკვიანი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, შუბლს ეხება მოხრილი თითების წვერები, მომდევნო ფაზაში სახის წინ განთავსებულია ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „საქციელი“– ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები

გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება სპირალური ტრაექტორიის სინქრონული მოძრაობა მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ზღვარი –** საზღვარი, მიჯნა

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია ქვევით, მარცხენა ხელის წინ განთავსებული მარჯვენა ხელისგული მიმართულია მარჯვნივ, მუშტად შეკრულია თითები და ქვევით დაშვებულია გაშლილი ცერი, მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**თავისუფლება –** ნების გამომჟღავნების დაუბრკოლებელი შესაძლებლობა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „თავისუფალი“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ახლოს ერთმანეთთან განთავსებული ხელისგულები, საჩვენებელი თითები და ცერები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ

გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ, ბოლო ფაზაში წინ მიმართულია ხელისგულები იმავე კონფიგურაციით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დამოუკიდებელი“ – ხელისგული მიმართულია მარცხნივ, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**თავმჯდომარე** – ხელმძღვანელი, გამძღოლი

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგულები ქვევით დაშვებული, გაშლილი თითებით, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**თათბირი** – შეკრება რაიმე საკითხის გადასაწყვეტად, მსჯელობა, საუბარი, მსჯელობა, სჯა-ბაასი

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ზევით

აღმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით და საჩვენებელი თითები მონაცვლეობით ეხება ლოყებს. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და სახის დონეზე.



**თანამდებობა –**
სამსახურებრივი ადგილი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სამსახური“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება საჩვენებელი და შუა თითების წვერებს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი ეხება მკერდს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადგილი“ – ქვევით და სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ქვევით დაშვებული თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**თანასწორი –** სიდიდით, უფლებით, მნიშვნელობით, ღირებულებით ან სხვა თვისებით ერთგვარი, ერთნაირი, თანაბარი, თანატოლი

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ერთ ხაზზე განთავსებული ხელისგულები გაშლილი თითებით, ორივე ხელით სრულდება დაახლოებითი, სინქრონული მოძრაობა: ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელი ქვევით და წინ მოძრაობს, ქვემოთ განთავსებული მარცხენა ხელი ზევით და სხეულისკენ გადაადგილდება, ხელები ერთმანეთს უსწორდება და ეხება. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**თარიღი** – რაიმე მოვლენის, ფაქტის მომხდარობის, რაიმე დოკუმენტის შექმნის წერილობით აღნიშნული დრო (წელი, თვე, დღე)

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „როდის?“ – სახის წინ განთავსებულია მარცხნივ მიმართული ხელისგული, გაშლილია ცერი და ზედა ფალანგებში ერთად მოხრილი თითები, თითებით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ბოლოო ფაზაში ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს; ჟესტის

მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ჩაწერა“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, მარცხენა ხელისგულის ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით, თითები ერთად მოხრილია ზედა ფალანგებში და ცერი ეხება საჩვენებელი თითის წვერს, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა მარჯვნივ და ხელი მსუბუქად ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



**თემა** – საკითხი, რომელსაც ეხება თხზულება ან საუბარი, დებულება, სიუჟეტი

ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**თეორია** – ფუძემდებელი, ხელმძღვანელი იდეების სისტემა ამა თუ იმ დარგში

ორხელიანი, ასიმეტრიული, სტატიკური ჟესტი, მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი საჩვენებელი თითი და ცერი ერთმანეთს უახლოვდება და ღია წრეს გამოსახავს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელი გაშლილი თითებით ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**თვალსაზრისი** – გარკვეული აზრი, შეხედულება რამეზე

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ხედვა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, რკალური ტრაექტორიით სრულდება მოძრაობა წინ; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „გონება“ – ხელისგული მიმართულია მარცხნივ, თითები

ერთად მოხრილია ზედა ფალანგებში, ცერი ეხება თითების წვერებს და ხელი ეხება საფეთქელს. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.



**იდეა** – მსოფლმხედველობის ძირითადი პრინციპი, დებულება, აზრი, შეხედულება, თვალსაზრისი

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, შუბლს ეხება გაშლილი საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, რკალური ტრაექტორიით სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.



**იდენტური** – სავსებით მსგავსი, ერთნაირი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მსგავსება“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ქვევით დაშვებული თითებით, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ერთმანეთის მიმართულებით: მარჯვენა ხელი მარცხნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარჯვნივ; ჟესტის მეორე

ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ფორმა“ – წინ და ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილია ცერები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის სინქრონული მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია  სახის, მხრებისა და მკერდის  დონეზე.



**იდეოლოგია** – მსოფლმხედველობა, გარკვეული კლასის იდეათა, შეხედულებათა სისტემა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ოცნება“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართული თითების რხევით სრულდება მოძრაობა საფეთქელთან; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შესრულება“ –  მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით, მარჯვენა ხელი წინ მოძრაობს და ეხება მარცხენა ხელისგულს საჩვენებელ თითთან. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის  დონეზე.



**იერიში –** სწრაფი თავდასხმა, შეტევა

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული, გაშლილი და ტუჩების წინ განთავსებულია ზევით აღმართული საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, მარჯვენა ხელი მოძრაობს სხეულისკენ და ეხება მარცხენა საჩვენებელ თითს. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



**იზოლაცია –** ცალკე გამოყოფა, გამოცალკევება, გამიჯვნა, ვინმესთან ან რამესთან ურთიერთობის საშუალების მოსპობა

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ერთმანეთთან ახლოს მიტანილი ხელისგულები გაშლილი, ერთმანეთთან მეტყუპებული და ზედა ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის სინქრონული მოძრაობა და ბოლოო ფაზაში სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები იმავე კონფიგურაციით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

**ინიციატივა –**
თაოსნობა რაიმე საქმეში,
რაიმე წამოწყებაში



ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „იდეა“ – ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, შუბლს ეხება გაშლილი საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, რკალური ტრაექტორიით სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და მარჯვნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მინდა“ / „სურვილი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზედა ფალანგებში ერთად მოხრილი, სხეულისკენ მიმართული თითებით, ხელი სხეულისკენ მოძრაობს და ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის  დონეზე.

**ინსპექცია**
– ზედამხედველობა, დაწესებულების ან ორგანიზაციის მეთვალყურეობა



ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი ხელისგული მიმართულია ქვევით, ცერისა და საჩვენებელი თითის წვერები ერთმანეთს ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ხელი ეხება მკერდს, ბოლოო ფაზაში სხეულისკენ მიმართულია ხელისგული იმავე კონფიგურაციით და ხელი ისევ ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



ინსტრუქცია – სახელმძღვანელო მითითება, დარიგება; რისამე შესასრულებლად საჭირო წესების კრებული

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ზომა“ – ხელისგულები მიმართულია წინ, ცერი და საჩვენებელი თითების წვერები ერთმანეთს ეხება, დანარჩენი თითები გაშლილი და ზევით აღმართული, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, სიტყვა-ჟესტი „გადაწერა“ – მარცხენა ხელისგულზე განთავსებული მარჯვენა ხელისგული წინაა მიმართული, გაშლილია და წინ მიმართული საჩვენებელი და ცერი თითები, დანარჩენი თითები მუშტადაა შეკრული, მარჯვენა ცერი ეხება გაშლილი და წინ მიმართული თითებით ზევით მიმართულ მარცხენა ხელისგულს, მარჯვენა ხელი სხეულისკენ მოძრაობს, ბოლოო ფაზაში მარჯვენა ცერი და საჩვენებელი თითების წვერები ერთმანეთს ეხება, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და  მხრების დონეზე.



**ინტერნაციონალური** – საერთაშორისო

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ და ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოოდ გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული, მონაცვლეობითი მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ინტრიგა** – 1. ფარული მოქმედება, ხრიკები 2. სიუჟეტის დაძაბული განვითარება ნაწარმოებში

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგულები, ერთმანეთისკენ მიმართულია გაშლილი ცერი და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა წინ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ინფორმაცია** – ცნობა, ამბის შეტყობინება

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილია შუბლთან მიტანილი საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები კრავენ მუშტს, სხეულისკენ მიმართული მარცხენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მხრებთანაა განთავსებული, ორივე ხელით სრულდება პოზიციათა განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მხრების დონეზე.



**ინციდენტი** – რაიმე უსიამოვნო შემთხვევა, გაუგებრობა, შეხლა-შემოხლა

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, არათითები და ცერები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია და წინ მიმართული, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**იურისტი** – სამართლის დარგის სპეციალისტი

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგული, საჩვენებელი თითი და ცერი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია და ზევით აღმართული, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა და ხელი ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**იძულებითი** – ძალდატანებითი

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია სახის წინ განთავსებული საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, რკალური ტრაექტორიით სრულდება მოძრაობა ქვევით.
ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.



**იჯარა** – უძრავი ქონების დროებით დაქირავება სათანადო ხელშეკრულების დადებით, არენდა

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი თითებით, ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელი ქვევით მოძრაობს და ბოლო ფაზაში მუშტად შეკრული თითებით ზედ ადევს მარცხენა გაშლილ ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**კაბინეტი** – მუშაობისათვის, გონებრივი შრომისათვის განკუთვნილი ოთახი ბინაში, ცალკე სამუშაო ოთახი დაწესებულებაში

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სამსახური“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება საჩვენებელი და შუა თითების წვერებს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი ეხება მკერდს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ოთახი“ – მარჯვენა ხელისგული მიმართულია მარცხნივ, გაშლილია საჩვენებელი თითი და ცერი, დანარჩენი თითები

შეკრულია მუშტად, მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელის გაშლილი თითები ეხება მარცხენა ხელისგულს, იცვლის პოზიციას და ისევ ეხება მარცხენა ხელისგულს, ბოლოო ფაზაში მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით სხეულისკენაა მიმართული. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.




## კადრები

– ადამიანური რესურსები სამუშაო თვალსაზრისით

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სამსახური“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება საჩვენებელი და შუა თითების წვერებს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი ეხება მკერდს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“– ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით; ჟესტის მესამე, ბოლოო ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ცალ-ცალკე“ – ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვენა ხელისგული მიმართულია მარცხნივ, მარცხენა – მარჯვნივ, ხელები გაშლილი და ერთმანეთთან შეტყუპებული თითებით ერთმანეთზე ჯვარედინად არის დაწყობილი, მარჯვენა ხელი მარცხენაზეა განთავსებული და ჯერ მარჯვნივ მოძრაობს რკალური ტრაექტორიით, შემდეგ – მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**კავკასია** – შავსა და კასპიის ზღვებს შორის მდებარე მხარე, რომელსაც მთების მაღალი ქედი – კავკასიონი ორ ნაწილად ყოფს – ამიერკავკასიად (სამხრეთ-კავკასიად) და ჩრდილო-კავკასიად

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ქართული“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი თითებით, ზევით აწეული ცერებით ხელები მკერდს ეხება, ორივე ხელით სრულდება სინქრონული, განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური სიტყვა-ჟესტი „მთა“ – ხელისგულები მიმართულია პირდაპირ, ოდნავ მოხრილი საჩვენებელი თითი და ცერი გამოსახავენ ღია წრეს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, მარჯვენა ხელი მარცხენასთან შედარებით ქვევითაა განთავსებული, სრულდება სინქრონული მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ ასრულებს მოძრაობას ტეხილი ტრაექტორიით და მარცხენა კი – მარცხნივ; ჟესტის მესამე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ვაკე“ / „დაბლობი“ – ქვევით მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და სახის დონეზე.



**კავკასიელი** – კავკასიის მცხოვრები, კავკასიის მკვიდრი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ქართული“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი თითებით, ზევით აწეული ცერებით ხელები მკერდს ეხება, ორივე ხელით სრულდება სინქრონული, განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**კავშირი** – შემაერთებელი რამ, დამოკიდებულება, მიმართება

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია თითებით ერთმანეთზე გადაჭდობილი ხელისგულები, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**კამათი** – განსხვავებული აზრების გამოთქმა-შეპირისპირება, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, დავა, ცილობა

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**კანდიდატი** – პირი, რომელიც დასახელებულია ამა თუ იმ თანამდებობაზე დასანიშნავად ან ასარჩევად

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური ფორმა, წინ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით მიმართულია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, რკალური ტრაექტორიით სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შეტანა“ – მუშტად შეკრული თითებით ზევით მიმართულია ხელისგული, სრულდება მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.



**კანონი** – წესი

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ბოლოო ფაზაში ხელები ქვევით გადაადგილდება გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



**კანონზომიერი** – შესაბამისი, კანონისაგან გამომდინარე

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „კანონი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ბოლოო ფაზაში ხელები ქვევით გადაადგილდება გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ზუსტი“ – ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, ორივე ხელის ცერი და საჩვენებელი თითი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, სინქრონულად სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ქვევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ზევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



**კანონიერი** – კანონის შესაბამისი, სწორი, გამართლებული

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „კანონი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ბოლო ფაზაში ხელები ქვევით გადაადგილდება გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახის, მკერდისა და მხრების დონეზე.



**კარდაკარ** – კარიდან კარზე, ერთი სახლიდან მეორეში, ეზო-ეზო

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარცხენა ხელისგული გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით მიმართულია სხეულისკენ, მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელი მაჯით ზემოდან ადევს მარცხენას და ასრულებს მოძრაობას წინ რკალური ტრაექტორიით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**კატეგორია** – 1. ლოგიკური ცნება, რომელიც განზოგადებულ ფორმაში ასახავს ობიექტური სინამდვილის მხარეებს, მათ ურთიერთკავშირსა და მიმართებას; 2. რიგი, თანრიგი, წყება, ჯგუფი, ხარისხი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ჯგუფი“ – ხელისგულები ერთმანეთისკენაა მიმართული გაშლილი და წრიულად მოხრილი თითებით, ზევით განთავსებული ცერებით, ხელები ერთმანეთისკენ მოძრაობს სინქრონულად; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დაყოფა“ – სხეულისკენ მიმართულია
მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით მიმართულია მარცხნივ, მარჯვენა ხელი მარცხენაზეა განთავსებული და რკალური ტრაექტორიით მარჯვნივ მოძრაობს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**კატეგორიული** – გადამწყვეტი, უცილობელი, მტკიცე, უყოყმანო

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური

სიტყვა-ჟესტი „გული“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, მკერდს ეხება ქვევით ჩაწეული შუა თითი, დანარჩენი თითები გაშლილია; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ფორმა „ბეჭდვა“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**კენჭისყრა** – ხმის მიცემით რაიმე საკითხის გადაწყვეტა ან ვისიმე არჩევა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ხმა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი საჩვენებელი თითით ეხება ყელს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ხელის აწევა“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.



**კვალიფიკაცია** – 1. საგნების, მოვლენების განსაზღვრა, დახასიათება მათი თვისებრივი თავისებურების მიხედვით, შეფასება; 2. ამა თუ იმ სამუშაოსათვის, პროფესიისათვის, საქმიანობისათვის ვისიმე გამოსადეგობა, სათანადო მომზადების, პროფესიული ცოდნისა და ჩვევების დონე

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „პროფესია" – ქვევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ფალანგებში ერთად მოხრილი, ერთმანეთისკენ მიმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ამაღლება" – მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული მიმართულია სხეულისკენ გაშლილი და ფალანგებში ერთად მოხრილი, სხეულისკენ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელი მსუბუქად ეხება მარცხენა ხელისგულს და ზევით მოძრაობს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**კვალიფიციური** – მაღალი კვალიფიკაციის მქონე, დაოსტატებული, დახელოვნებული

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „პროფესია“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ფალანგებში ერთად მოხრილი, ერთმანეთისკენ მიმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გამოცდილება“ – მარცხნივ მიმართულია ხელისგული, ტუჩის კუთხესთან ცერი და საჩვენებელი თითი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, რკალური ტრაექტორიით სრულდება მოძრაობა მარჯვნივ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და სახის დონეზე.



**კვლევა** – კვლევა-ძიების წარმოება, მეცნიერულად რისამე შესწავლა

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ხელისგულები წინ და ქვევითაა მიმართული, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**კოლექტივი** – ადამიანთა ჯგუფი, რომელთაც აკავშირებს საერთო საქმიანობა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სამსახური“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება საჩვენებელი და შუა თითების წვერებს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი ეხება მკერდს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „კავშირი“ – ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია თითებით ერთმანეთზე გადაჭდობილი ხელისგულები, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**კომენტარი** – ტექსტის ან დებულების ახსნა-განმარტება, შენიშვნა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „აზრი“ – ხელისგული მიმართულია მარცხნივ, თითები ერთად მოხრილია ზედა ფალანგებში და ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს და ხელი ეხება საფეთქელს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ამბავი“ / „თხრობა“ – წინ მიმართულია ხელისგულები, შუა თითები და ცერები წვერებით ეხება ერთმანეთს, დანარჩენი თითები

გაშლილია, ბოლო ფაზაში ფართოდ გაშლილია ორივე ხელის ზევით აღმართული თითები. ჟესტი სრულდება სახისა და მკერდის დონეზე.



**კომისია** – პირთა ჯგუფი – დროებითი ან მუდმივი ორგანო, რომელსაც მინდობილი აქვს ამა თუ იმ დავალების შესრულება ან რაიმე საკითხის გარკვევა და დამუშავება

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ხელისგულები წინ და ქვევითაა მიმართული, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**კომიტეტი** – ხელმძღვანელი არჩევითი ორგანო

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სამსახური“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება საჩვენებელი და შუა თითების წვერებს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი ეხება მკერდს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი,

სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ჯგუფი“ – ხელისგულები ერთმანეთისკენაა მიმართული გაშლილი და წრიულად მოხრილი თითებით, ზევით განთავსებული ცერებით ხელები ერთმანეთისკენ მოძრაობს; ჟესტის მესამე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მრავალფეროვნება“ – ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, ფართოდ გაშლილი და ზევით მიმართული თითების რხევით სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**კონკრეტული** – რეალურად არსებული, თვალსაჩინო, ხელშესახები

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვენა ხელისგული მიმართულია წინ და ქვევით, ცერების და საჩვენებელი თითების წვერები ერთმანეთს ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, მარცხენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია სხეულისკენ და ზევით, ხელები ერთმანეთს მსუბუქად ეხება თითების წვერებით, სრულდება მარჯვნივ მიმართული პოზიციათა მონაცვლეობითი მოძრაობა, ბოლო ფაზაში იმავე კონფიგურაციებით მარცხენა ხელისგული მიმართულია წინ და ქვევით, მარჯვენა კი – სხეულისკენ და ზევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**კონკურენცია** – მეტოქეობა უპირატესობის მოსაპოვებლად

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „კონკურსი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ზემოთ აღმართულია ცერები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ფორმა, ქვევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ზედა ფალანგებში ერთად მოხრილი თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**კონკურსი** – შეჯიბრება სხვადასხვა დარგში, რომლის მიზანიცაა გამოავლინოს მონაწილეთა შორის საუკეთესოები

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ზევით აღმართულია ცერები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**კონტროლი** – შემოწმება, ზედამხედველობა, მეთვალყურეობა

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და წინ მიმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის სინქრონული მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**კორესპონდენტი** – მასმედიის თანამშრომელი, რომელიც ინფორმაციას მოიპოვებს

ერთხელიანი, სტატიკური ჟესტი, მუშტად შეკრული თითებით სხეულისკენ მიმართულია ხელისგული. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.



**კორექტული** – სწორი, გამართული, უპრიანი

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზედა ფალანგებში მოხრილი ცერი და საჩვენებელი თითი ეხება ლოყებს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მხრების დონეზე.



**კრება** – 1. ორგანიზაციის ან ჯგუფის წევრთა თავმოყრა რაიმე საკითხის გადასაწყვეტად, სათათბიროდ; 2. ერთად თავმოყრილი, შეკრებილი ადამიანთა ჯგუფი, კრებული

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით და საჩვენებელი თითები მონაცვლეობით ეხება ლოყებს. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და სახის დონეზე.



**კრიტიკა** – გარჩევა, განსჯა, ღირსება-ნაკლოვანებების შეფასება

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული, ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს, წინ მიმართულია მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან და მარჯვენა მაჯა ზემოდან ეხება მარცხენა საჩვენებელ თითს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**კურსი** – სვლის მიმართულება, ძირითადი გეზი, ორიენტაცია

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ინსტიტუტი“ – ხელისგულები ერთმანეთისკენაა მიმართული, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი, წრიული მოძრაობა და ხელები ეხება მკერდს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ოთახი“ –

მარჯვენა ხელისგული მიმართულია მარცხნივ, გაშლილია ცერი და საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელის გაშლილი თითები ეხება მარცხენა ხელისგულს, იცვლის პოზიციას და ისევ ეხება მარცხენა ხელისგულს, ბოლოო ფაზაში მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით სხეულისკენაა მიმართული. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ლიდერი** – პოლიტიკური პარტიის, საზოგადოებრივ-პროფესიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი

ორხელიანი, ასიმეტრიული, სტატიკური ჟესტი, მარჯვენა ხელისგული  მიმართულია ქვევით, გაშლილი და ფალანგებში მოხრილი, ქვევით მიმართული თითებით ხელი ეხება ზევით აღმართულ მარცხენა ცერს, მუშტად შეკრული თითებით მარცხენა ხელისგული  მიმართულია სხეულისკენ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ლიკვიდაცია** –  საქმიანობის შეწყვეტა, დახურვა, გაუქმება

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვენა ხელისგული ქვევითაა მიმართული, გაშლილია თითები და ქვევით ჩაწეული შუა თითი ეხება მარცხენა ხელისგულის ზურგს, მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით ქვევითაა მიმართული, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა  მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ლოზუნგი** – (პოლიტიკური პარტიის) მოკლედ გამოთქმული სახელმძღვანელო იდეა, ამოცანა ან მოთხოვნილება

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დაწესებულება“ – ხელისგულები ერთმანეთისკენაა მიმართული ფლანგებში წრიულად მოხრილი საჩვენებელი თითით და ცერით, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.



**ლტოლვილი** – გაქცეული, გადახვეწილი

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული, ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**მართვა** – წარმართვა, ხელმძღვანელობა, მოწყობა, ჩატარება

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მუშტად შეკრული თითებით და ცერებზე შემოხვეული საჩვენებელი თითებით ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა წინ და უკან. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**მარკა** – დასაკრავი საფოსტო ან სავაჭრო ნიშანი

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, ქვევით მიმართულია ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელისგული, გაშლილია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი გაშლილი თითებით ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**მდივანი** – ვინც აწარმოებს ან განაგებს დაწესებულების ან კერძო პირის საქმიან მიმოწერას

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითი ერთმანეთს წვერებით ეხება და ეხება მკერდს, დანარჩენი თითები გაშლილია, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით და ხელი ისევ ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**მედროშე** – დროშის ხელში დამჭერი, დროშის წამღები, ალამდარი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „დროშა“ / „ალამი“ – სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით და ზევით აწეული ცერით, ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით ეხება მარჯვენა ხელის იდაყვს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**მეთაური** – წინამძღოლი, ხელმძღვანელი, უფროსი, თავკაცი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „ჯარი“ – მუშტად შეკრული თითებით სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, ხელი ეხება მკერდს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მთავარი“ – მუშტად შეკრული თითებით სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული, ზევით განთავსებულია მარცხნივ მიმართული მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით და ზევით აწეული ცერით, მარჯვენა ხელი ქვევით მოძრაობს და ზემოდან ეხება მარცხენას. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**მეთვალყურე** – თვალყურის მდევნელი, ზედამხედველი, მეთვალთვალე

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მეთვალყურე“ / „თვალყური“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები კრავენ მუშტებს, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის სინქრონული მოძრაობა წინ; ჟესტის მესამე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული,

დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**მეტი** – შედარებით ბევრი, უფრო ბევრი

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის ქვევით მიმართული განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ქვევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**მთავრობა** – სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ცენტრალური აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო

ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი – „ბ“ დაქტილის კონფიგურაციით გამოსახული, მარცხნივ მიმართულია ხელისგული, გაშლილია საჩვენებელი თითი, შუა თითი ეხება საჩვენებელ თითს და მოხრილია ფალანგებში, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ხელი ეხება შუბლს, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.



**მივლინება** –
სამსახურებრივი დავალებით დროებით სხვაგან წასვლა ან გაგზავნა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ფორმა – მუშტად შეკრული თითებით ქვევით მიმართულია ხელისგულები, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გამგზავრება“ – წინ და ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილია ცერი  და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ხელები წინ გადაადგილდება სინქრონულად და ბოლო ფაზაში ცერები ეხება საჩვენებელი თითების წვერებს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**მიმართვა**
– 1. მიქცევა, მიშვერა. 2. წარმართვა, გეზის, მიმართულების მიცემა 3. მოწოდება

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შეტყობინება“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ოდნავ მოხრილია თავზე მიდებული საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ხელი წინ და ქვევით მოძრაობს, მომდევნო ფაზაში საჩვენებელი

თითი მოხრილია ფალანგებში; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „აღიარება“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი ერთმანეთისკენ მიმართული თითებით, ხელები სინქრონულად ეხება მკერდს და წინ მოძრაობს რკალური ტრაექტორიით, ბოლო ფაზაში ზევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით. ჟესტი სრულდება სახისა და მკერდის დონეზე.



**მიმართულება** – გეზი, გზა, კურსი

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, მარცხნივ მიმართულია მარცხენა ხელისგულზე იმავე კონფიგურაციით განთავსებული მარჯვენა ხელისგული, მარჯვენა ხელი წინ გადაადგილდება სამი მიმართულებით: მარცხნივ, მარჯვნივ და პირდაპირ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**მინდობილობა** – საბუთი, რომლითაც ესა თუ ის პირი სხვას მიანდობს თავის ნების, სურვილის ან მოვალეობის ასრულებას

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ნდობა“ – სხეულისკენ მიმართულია წინ გაწეული მარცხენა

ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ და ქვევით, საჩვენებელი თითი ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გადაცემა“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ, ბოლო ფაზაში ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები იმავე კონფიგურაციით. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



**მინისტრი** – მთავრობის წევრი, ამა თუ იმ სამინისტროს ხელმძღვანელი

ორხელიანი სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და წინ მიმართულია არათითი, საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სინქრონულად სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**მისამართი** – ადგილი, ზუსტი ადგილსამყოფელი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური, იკონური სიტყვა-ჟესტი „სახლი“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ზედა ფალანგებში ერთად მოხრილი, ერთმანეთისკენ მიმართული თითებით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ქუჩა“ – ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, მარცხენა იდაყვის წინ განთავსებული მარჯვენა ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით მარჯვნივ მოძრაობს მარცხენა ხელის გასწვრივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**მიტინგი** – სახალხო, მასობრივი კრება, თავშეყრა რაიმე საზოგადოებრივი (უმთავრესად – პოლტიკური) ხასიათის საკითხის განსახილველად

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით, მარჯვენა ხელი გადაჯვარედინებულად ადევს მარცხენას და ზევით მოძრაობს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**მოადგილე** – ხელმძღვანელის თანაშემწე, მონაცვლე, შემცვლელი

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, მარჯვენა ხელი მარცხნივ და ქვევით მოძრაობს და საჩვენებელი თითით ეხება მარცხენა ცერს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**მოგვარება** – მოწესრიგება, მოწყობა, მოხერხება

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „კეთება“ – სხეულისკენ მიმართულია ვერტიკალზე განთავსებული ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით, ხელი ზემოდან ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მზადება“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილია ცერი და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**მოვალეობა** – რაც ევალება, რაც ეკისრება, ვალდებულება

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დავალება“ – მუშტად შეკრული თითებით წინ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ოდნავ მოხრილი თითებით, ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელი ქვევით მოძრაობს და მარცხენა მაჯას ედება ზემოდან, გაშლილი და წინ მიმართულია მარჯვენა საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ვალდებულება“ – წინ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებითი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**მოვლენა** – რაც თავს იჩენს, ხდება, ამბავი, შემთხვევა

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის სინქრონული, განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.



**მოკავშირე** – ვისაც (რასაც) კავშირი აქვს შეკრული ვინმესთან (რამესთან)

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია მარცხენა ხელისგული, მარჯვენა ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, ერთმანეთზე გადაჭდობილია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით ერთად სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**მომენტი** – დროის უმოკლესი მონაკვეთი

ერთხელიანი, სტატიკური ჟესტი, ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.



**მომჩივანი** – ვინც უჩივის, საჩივრის აღმძვრელი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ჩივილი“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**მონაწილე** – რაიმე საქმეში სხვებთან ერთად მოქმედება, სადმე სხვებთან ერთად ყოფნა

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია ზევით, წინ მიმართულია მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით და ქვევით დაშვებული ცერით, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ცერი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**მონობა** – მონად ყოფნა, მონის მდგომარეობა, ჩაგრულთა, უფლებააყრილთა მდგომარეობა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, იკონური სიტყვა-ჟესტი „მონა“ – მარცხენა ხელისგული მიმართულია ქვევით გაშლილი და ფალანგებში მოხრილი თითებით, მარჯვენა ხელისგულიც მიმართულია ქვევით, საჩვენებელი თითი და ცერი შემოჭდობილია მარცხენა მაჯაზე, დანარჩენი თითები გაშლილია, ხდება ხელების პოზიციათა მონაცვლება; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „დანიშნულება“ – ხელისგულები მიმართულია წინ, მოხრილია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



**მორიგე** – განსაზღვრული წესის მიხედვით გარკვეული დროის განმავლობაში რაიმე მოვალეობის შემსრულებელი

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა მკლავს, გაშლილია საჩვენებელი და ცერი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**მოსაწვევი** – მოსაპატიჟებელი ბარათი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ბარათი“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია ფალანგებში მოხრილი საჩვენებელი თითი და ცერი, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სრულდება  განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მოპატიჟება“ –  ზევით მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის სინქრონული მოძრაობა მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**მოსახლეობა** – გარკვეული ტერიტორიული ერთეულის მცხოვრებნი, მცხოვრებთა ერთობლიობა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ცხოვრება“ – ზევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი მოძრობა მარჯვნივ-მარცხნივ და ხელები ეხება სხეულს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია

მუშტად, სამჯერ სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**მოუგვარებელი** – რაც მოგვარებული არაა, მოუწესრიგებელი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შეთანხმება“ – ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართული და ერთმანეთზე განთავსებულია ხელისგულები გაშლილი თითებით, სრულდება პოზიციათა მონაცვლეობითი მოძრაობა; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „არა“ – წინ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**მოულოდნელი** – რასაც არ მოელოდნენ, უეცარი

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, ცერები ეხება საჩვენებელ თითებს, დანარჩენი თითები გაშლილია, ბოლო ფაზაში ქვევით მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**მოქალაქე** – ვისაც ან რასაც მოსვენებით ყოფნა არ შეუძლია, დაუდეგარი, დაუდგრომელი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ქალაქი“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, მარჯვენა ხელისგული ქვევითაა მიმართული, გაშლილია თითები და ქვევით ჩაწეულია შუათითი, მარჯვენა ხელი ქვევით მოძრაობს და შუა თითით ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**მოწინააღმდეგე** – ვინც წინააღმდეგია ვისიმე ან რისამე, დაპირისპირებული

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „წინაღმდეგობა“ – მარჯვენა ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები კრავენ მუშტს, მარცხენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია სხეულისკენ, ორივე ხელი სინქრონულად მოძრაობს წინ და ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და

საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**მოწმე** – რაიმე შემთხვევის დამსწრე, მნახველი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მოწმეობა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები კრავენ მუშტებს, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ, ერთმანეთისკენ და განზე; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**მოწმობა** – ოფიციალური დოკუმენტი, ცნობა, რითაც რაიმე დასტურდება

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური სიტყვა-ჟესტი „გადაშლა“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ერთმანეთთან ახლოს მიტანილი ხელისგულები, გაშლილი და წინ მიმართული

თითებით, რკალური ტრაექტორიით სინქრონულად სრულდება ქვევით მიმართული განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ქვევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ქვევით: ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ბარათი“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, ფალანგებში მოხრილი ცერებით და საჩვენებელი თითებით გამოსახულია ოთხკუთხედი ფორმა, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ: ერთმანეთისკენ და განზე. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**მუხლი** – იურიდიული დოკუმენტის ცალკეული მცირე დანაყოფი

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია ცერი და საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ხელი მოძრაობს მარჯვნივ. ჟესტი სრულდება მხრების დონეზე.



**მფლობელი** – ვინც ფლობს რასმე, მეპატრონე, მესაკუთრე, მპყრობელი

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი სრულდება სახის დონეზე, გაშლილია ცერი და საჩვენებლი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ხელისგული სხეულისკენაა მიმართული და ხელი განმეორებად, წრიულ მოძრაობას ასრულებს. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.



**მხარდამჭერი** – მომხრე, დამხმარე ადამიანი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დაცვა“ / „მხრის მიცემა“ – წინ მიმართულია ხელისგულები, მუშტად შეკრული თითებით, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა წინ; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**მხარდაჭერა** – მომხრობა, დახმარების გაწევა, თანადგომა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური, მითითებითი სიტყვა-ჟესტი „მხარი“ / „ბეჭი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი თითებით, სრულდება მოძრაობა რკალური ტრაექტორიით და მარცხენა ხელი ეხება მარჯვენა ბეჭს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დაცვა“ / „მხრის მიცემა“ – წინ მიმართულია ხელისგულები, მუშტად შეკრული თითებით, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.



**მხედართმთავარი** – ჯარის უფროსი, ჯარის წინამძღოლი, სარდალი

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ცხენი“ – ხელისგულები მიმართულია ქვევით, მარჯვენა ხელის გაშლილი შუა და საჩვენებელი თითები გარდიგარდმო ადევს მარცხენა ხელის გაშლილ და წინ მიმართულ საჩვენებელ თითს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია ორივე ხელზე; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მთავარი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელი ზევით აღმართული ცერით ქვევით მოძრაობს და ზემოდან ეხება მარცხენა ხელს; ჟესტის მესამე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**ნაკლები** – შედარებით ცოტა, შედარებით მცირე

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.



**ნაკლი** – დეფექტი, ცუდი თვისება, რაც რისამე ან ვისიმე სისრულეს აკლია

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და მარცხნივ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ნამდვილი** – ჭეშმარიტი, მართალი, ნაღდი

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები კრავენ მუშტებს, ორივე ხელით სრულდება განმეორებითი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ნარკომანია** – ნარკოტიკულ საშუალებათა ხმარებისადმი ძლიერი, ავადმყოფური მიდრეკილება

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ნარკომანი“ – წინ გაწვდილია ზევით მიმართული მარცხენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, ქვევით მიმართული მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და მარცხენა ვენისკენ მიმართულია მარჯვენა ცერი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და ცერი ეხება მარცხენა ხელს ვენასთან; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „დანიშნულება“ – წინ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე და ოდნავ ქვევით.



**ნაყოფიერი** – მოსავლიანი, ნოყიერი (მიწა, ნიადაგი)

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია ზევით, სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგულზე განთავსებული მარჯვენა ხელისგული გაშლილი და სხეულისკენ მიმართული მოხრილი თითებით, ბოლოო ფაზაში მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე ოდნავ ქვევით.



**ნაშთი** – ნარჩენი, რაც რისამე შედეგად დარჩა, რისამე არსებობის კვალი, გადმონაშთი

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია ხელისგული, საჩვენებელი და ცერი თითები ერთმანეთს წვერებით ეხება და ეხება ცხვირს, მომდევნო ფაზაში ქვევით მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



**ნებართვა**
– მოპოვებული უფლება რისამე გასაკეთებლად, შესასრულებლად მიღებული დასტური, თანხმობა

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, საჩვენებელი თითები და ცერები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, რკალური ტრაექტორიით სინქრონულად სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ, ბოლოო ფაზაში წინ მიმართულია ხელისგულები იმავე კონფიგურაციით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ნებაყოფლობითი** – ნებაყოფლობის საფუძველზე შექმნილი, თავისი ნებით

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „თვითონ“ – მუშტად შეკრული თითებით სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება მკერდს ჯერ მარცხენა, შემდეგ კი – მარჯვენა მხარეს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ავტონომია“ / „დამოუკიდებელი“ – გაშლილია ცერი და საჩვენებლი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ხელისგული სხეულისკენაა მიმართული და ხელი განმეორებად, წრიულ მოძრაობას ასრულებს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**ნეიტრალური** – არც ის, არც ეს, საშუალო, რაც არავითარ ძალას, მოქმედებას არ იჩენს

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები ზევით აღმართული ცერებით, გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი, ერთმანეთისკენ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით, ხელი მსუბუქად ეხება მარცხენა ხელის თითებს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

**ნიმუში** – საგანი ან რისამე სახე, რომლის მიხედვითაც ან რომელთან მიმსგავსებითაც კეთდება რაიმე; რაიმე საგანი, მრავალთაგან ერთ-ერთი რამ, რაც გამოტანილია საჩვენებლად, გასაცნობად.



ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ნახვა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა წინ და ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მაგალითი“ – მარცხნივ და ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია ზევით და სხეულისკენ, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



**ნიშანი** – საგნის ან მოვლენის სხვა საგნების ან მოვლენებისაგან განმასხვავებელი თვისება, მხარე

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით, გაშლილი და ფალანგებში მკვეთრად მოხრილია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი

თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელი მარცხნივ გადაადგილდება და ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ნომერი** – ერთგვარი საგნების რიგის მაჩვენებელი რიცხვი

ერთხელიანი, დინამიკური, იკონური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება N-გრაფემული ტრაექტორიის მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.



**ნორმალური** – ნორმის შესაფერისი; რაც ნორმის ფარგლებს არ სცილდება, რიგიანი, წესიერი, დამაკმაყოფილებელი

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, ცერები და შუა თითები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ორივე ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ნოტარიუსი** – პირი, რომელსაც კანონით აქვს მინიჭებული იურიდიული აქტების დამოწმებისა და გაფორმების უფლება

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური, სიტყვა-ჟესტი „იურისტი" – მარცხნივ მიმართულია ხელისგული, ცერი და საჩვენებელი თითი ერთმანეთს წვერებით ეხება და წრეს გამოსახავს, დანარჩენი თითები გაშლილია, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა და ხელი მკერდს ეხება; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დამოწმება" – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ნუმერაცია** – რიგითი ნომრების დასხმა, ციფრობრივი აღნიშვნა მიყოლებით, დანომვრა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ნომერი" – წინ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება N-გრაფემული ტრაექტორიის მოძრაობა; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი,

დინამიკური სიტყვა-ჟესტი „რიგითობა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითების რხევით, ხელი მოძრაობს მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.



**ობიექტი** – 1. სინამდვილის ესა თუ ის მხარე, საგანი, მოვლენა ან მათი ასახვა ცნობიერებაში; 2. ადამიანის მოქმედების საგანი; 3. მშენებლობა.

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შენება“ – ხელისგულები მიმართულია ქვევით და ერთმანეთისკენ, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით, თითები ერთმანეთს მსუბუქად ეხება; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადგილი“ – გაშლილი, ფალანგებში ოდნავ მოხრილი და ქვევით დაშვებული თითებით ხელისგული მიმართულია ქვევით, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.



**ოლქი** – ქვეყნის ნაწილი, ტერიტორია, რაიონი

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, მარცხნივ მიმართულია ხელისგული, ცერი და საჩვენებელი თითი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ომბუდსმენი** – სახალხო დამცველი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ერი“ – ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია მარჯვნივ, თითები ეხება შუბლს, რკალური ტრაექტორიით სრულდება მარჯვნივ და ქვევით მიმართული მოძრაობა; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დაცვა“ / „მხრის მიცემა“ – წინ მიმართულია ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



**ოპოზიცია** – წინააღმდეგ მოქმედება, წინააღმდეგობა; საკუთარ შეხედულებათა, პოლიტიკის დაპირისპირება სხვა შეხედულებათა ან პოლიტიკისადმი

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ერთმანეთზე მიდებული ხელისგულები, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება ქვევით მიმართული განმეორებითი, განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ქვევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ორატორი** – ვინც საჯაროდ სიტყვას წარმოთქვამს

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მოხსენება“ – სხეულისკენ მიმართულია სახის დონეზე განთავსებული ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, რკალური ტრაექტორიით სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**ორგანიზატორი** – ვინც აორგანიზებს, ორგანიზაციის მომწყობი, რაიმე საქმის წამომწყები და ხელმძღვანელი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „პასუხისმგებელი“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, საჩვენებელი და ცერი თითები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელი ქვევით მოძრაობს და ეხება მარცხენა ცერს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სკოლის აღმზრდელი“ – წინ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა წინ და უკან. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ორგანიზაცია** – 1. სისტემაში მოყვანა, მოწესრიგება, მოწყობა; 2. გარკვეული მიზნით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფი, საზოგადოებრივი გაერთიანება, კავშირი; პარტიული ან სახელმწიფოებრივი დაწესებულება

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ოლქი“ – მარცხნივ მიმართულია ხელისგული, საჩვენებელი თითი და ცერი ერთმანეთს

წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „წრე“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება ერთმანეთისკენ მიმართული რკალური ტრაექტორიის მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ოქმი** – დოკუმენტი, რომელშიაც აღწერილია კრების, სხდომის ან დაკითხვის მსვლელობა და დადგენილებანი ან რაიმე ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერენ მოწმეები

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგულები, ცერები ეხება გაშლილ და ზედა ფალანგებში ერთად მოხრილ თითების წვერებს, ორივე ხელით სრულდება სპირალური ტრაექტორიის სინქრონული მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.



**პაექრობა** – კამათი, მსჯელობა

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება ქვევით მიმართული რკალური ტრაექტორიის განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ქვევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**პარალელი** – ხაზი ან სიბრტყე, რომელიც თანაბრად არის დაშორებული მეორე ხაზის ან სიბრტყისაგან და არასოდეს არ გადაკვეთს მას

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია ერთმანეთთან წვერებით ახლოს განთავსებული საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**პარლამენტი** – უმაღლესი არჩევითი საკანონმდებლო ორგანო

ერთხელიანი, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ქვევით მიმართულია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ხელი ასრულებს მოძრაობას უკან და ხელი ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**პარტია** – პოლიტიკური გაერთიანება

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „კომუნისტური“ – ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია ქვევით, მარჯვენა ხელი ასრულებს რკალურ მოძრაობას ზევით და რამდენიმეგან ეხება მარცხენა მკლავს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ჯგუფი“ – სრულდება მკერდის დონეზე, ხელისგულები ერთმანეთისკენაა მიმართული გაშლილი და წრიულად მოხრილი თითებით, ზევით განთავსებული ცერებით ხელები ერთმანეთისკენ მოძრაობს სინქრონულად. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



**პატრიოტი** – ადამიანი, რომელსაც უყვარს სამშობლო, მზად არის მისთვის თავი გასწიროს; თავისი ხალხის ერთგული, სამშობლოსათვის თავდადებული

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სამშობლო“ / „ნათესავი“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მოანცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ქვეყანა“ / „ადგილი“ / „მიდამო“ – ქვევით მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა; პირველი ორი ჟესტი ერთად ნიშნავს „სამშობლოს“; ჟესტის მესამე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დაცვა“ – წინ მიმართულია ხელისგულები მუშტად შეკრული თითებით, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**პასიური** –
არაენერგიული,
უმოქმედო; განურჩეველი,
ინდიფერენტული

ორნაწილიანი ჟესტის
პირველი ნაწილია
ორხელიანი, სიმეტრიული,
დინამიკური სიტყვა-ჟესტი „აქტიური“ – სხეულისკენ მიმართული ხელისგულები გაშლილი თითებით ეხება მკერდს, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა წინ და უკან; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „არა“ – წინ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ხელი მოძრაობს მარჯვნივ. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



**პასუხისმგებლობა** –
ვალდებულება, პასუხი აგონ ჩადენილი
საქციელის, მოქმედების გამო

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, საჩვენებელი თითები და ცერები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელი ქვევით მოძრაობს და ეხება მარცხენა ცერს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**პენსია** – მოქალაქეთა სისტემატური მატერიალური (ფულადი) უზრუნველყოფა სახელმწიფოს ხარჯზე კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**პენსიონერი** – ვინც პენსიას იღებს (პენსია ეკუთვნით მოხუცებულებს, ინვალიდებს, ოჯახის წევრებს ოჯახის მარჩენალის გარდაცვალების ან ომში დაღუპვის შემთხვევაში)

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „პენსია“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ბებერი“ / „მოხუცი“ – ხელისგული სახისკენაა მიმართული,

თითები შეკრულია მუშტად, ხელი ლოყას ეხება და ქვევით მოძრაობს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და სახის დონეზე.



**პერსონალი** – საწარმოს ან რამე დაწესებულების პირადი შემადგენლობა, თანამშრომელთა ერთობლიობა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სახე“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და სახისკენ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება წრიული მოძრაობა სახის გარშემო; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანები“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება სამჯერადი მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**პირადი** – პიროვნული, პერსონალური, კერძო, ინდივიდუალური, რაც მხოლოდ ერთ პირს ეხება, ერთი პირის ინტერესების შესაბამისი

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და სახისკენ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება წრიული მოძრაობა სახის გარშემო. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.



**პირადობა** – ვინაობის დამადასტურებელი საბუთი, მოწმობა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟეტი „პასპორტი“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, მარჯვენა ხელის თითები ზემოდან გადაჯვარედინებულად ადევს მარცხენა ხელის გაშლილ თითებს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ბარათი“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია ფალანგებში ოდნავ მოხრილი საჩვენებელი თითები და ცერები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**პოზიცია** – 1. რისამე მდგომარეობა, მდებარეობა, განლაგება; 2. თვალსაზრისი ამა თუ იმ საკითხის შესახებ

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ჩემი“ – სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, ხელი ეხება მკერდს; ჟესტის მეორე ნაწილია

ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „აზრი“ – შუბლთან განთავსებული ხელისგული მიმართულია მარცხნივ, ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს და ხელი ეხება შუბლს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და სახის დონეზე.



**პოზიტიური** – დადებითი

ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური ჟესტი, ქვევით და ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთზე გადაჯვარედინებულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**პოლემიკა** – კამათი, პაექრობა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „პოლიტიკა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი თითებით, ქვევით ჩაწეული შუა თითით ხელი ეხება პირს, სრულდება ზიგზაგური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „კამათი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხლით სრულდება განმეორებითი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



**პოლიტიკა** – ინტერესების დასაცავად გამოყენებული მეთოდები და საშუალებები, საზოგადოებაში ბატონობისათვის, ძალაუფლებისათვის ბრძოლა, სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობა, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი თითებით, ქვევით ჩაწეული შუა თითით ხელი ეხება პირს, სრულდება ზიგზაგური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.



**პოლიტიკური** – . პოლიტიკის ხასიათის მქონე, პოლიტიკასთან დაკავშირებული

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „პოლიტიკა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი თითებით, ქვევით ჩაწეული შუა თითით ხელი ეხება პირს, სრულდება ზიგზაგური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ და ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „დანიშნულება“ – წინ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



**პოლიცია** – საგანგებო სახელმწიფო ორგანო, რომლებიც შეიარაღებული რაზმებით იცავს არსებულ წეს-წყობილებას

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარცხენა ხელისგული ქვევითაა მიმართული მუშტად შეკრული თითებით, მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილია ცერი, საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, მარჯვენა ხელი გაშლილი თითებით ეხება მარცხენა ხელისგულის ზურგს, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ, ბოლო ფაზაში მუშტად შეკრულია მარჯვენა ხელის თითები და ზევით აღმართულია ცერი. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**პოლიციელი** – პოლიციის თანამშრომელი, პოლიციის მოხელე

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „პოლიცია" – მარცხენა ხელისგული ქვევითაა მიმართული მუშტად შეკრული თითებით, მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილია ცერი, საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, მარჯვენა ხელი გაშლილი თითებით ეხება მარცხენა ხელისგულის ზურგს, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ, ბოლო ფაზაში მუშტად შეკრულია მარჯვენა ხელის თითები და ზევით აღმართულია ცერი; ჟესტის მეორე

ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**პოპულარული** – ფართოდ გავრცელებული, საყოველთაოდ ცნობილი და მიღებული

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია შუბლის წინ განთავსებული ხელისგული, ცერი ეხება შუათითს, დანარჩენი თითები გაშლილია, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, საჩვენებელი თითი ეხება შუბლს, ბოლო ფაზაში ყველა თითი გაშლილი და ზევით აღმართულია. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.



**პრაქტიკა** – ადამიანთა მოქმედება წარმოების პროცესში, წარმოადგენს თეორიის საფუძველს

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ცოდნა“ / „სწავლა“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება საჩვენებელი და შუა თითების წვერებს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, შუბლის წინ სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-

ჟესტი „პროფესია“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ზედა ფალანგებში ერთად მოხრილი, ერთმანეთისკენ მიმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



## პრეზენტაცია
წარმოდგენა

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ნახვა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა წინ და ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მაგალითი“ – ზევით და მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია სხეულისკენ და ზევით, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს; პირველი ორი ჟესტი ერთად ნიშნავს „ჩვენებას“; ჟესტის მესამე, ბოლოო ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მოყოლა“ – წინ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ზევით აღმართულია მარჯვენა ხელის თითები, მარცხენა ხელის შუათითები და ცერები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ხდება კონფიგურაციათა მონაცვლეობა. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



**პრეზიდენტი** – ზოგი რესპუბლიკური სახელმწიფოს მეთაური

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „თავმჯდომარე“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები, გაშლილი, ფალანგებში ოდნავ მოხრილი და ქვევით მიმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მართვა“ – მუშტად შეკრული თითებით ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, საჩვენებელი თითები შემოხვეულია ცერებზე, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობით მოძრაობა წინ და უკან. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**პრემიერი** – პრემიერ-მინისტრი, ქვეყნის მმართველი პირი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „პირველი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული მუშტად შეკრული თითებით და ზევით აწეული ცერით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მინისტრი“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და წინ მიმართულია შუა, არათითი და საჩვენებელი თითები, ცერი და ნეკი ჩაკეცილია, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი

მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.



**პრინციპი** – რომელიმე თეორიის, მოძღვრების, მეცნიერების ამოსავალი დებულება, სახელმძღვანელო იდეა, თვალსაზრისი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ცელქი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, ფართოდ გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი საჩვენებელი და შუა თითებით ხელი ეხება სახეს ცხვირთან, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ხელი წინ მოძრაობს და ბოლო ფაზაში მუშტად შეკრულია თითები; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მიზანსწრაფვა“ – მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და წინ მიმართული თითებით, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით, მარცხენა ხელი წინ მოძრაობს და ეხება მარჯვენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



**პრობლემა** – გასაჭირი, რთული თეორიული ან პრაქტიკული საკითხი, რომელიც საჭიროებს გარკვევას, შესწავლას

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული, ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით, ხელები ერთმანეთს ეხება გაშლილი თითების წვერებით, სრულდება პოზიციათა მონაცვლეობითი მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**პრობლემა** – გასაჭირი, რთული თეორიული ან პრაქტიკული საკითხი, რომელიც საჭიროებს გარკვევას, შესწავლას

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგული, შუათითი ჯაჭვისებურად ებმის მარჯვენა ხელის შუათითს, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით, სრულდება პოზიციათა მონაცვლეობითი მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**პროგრამა** – მუშაობის, მოქმედების გეგმა

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ზედა ფალანგებში ერთად მოხრილი, სხეულისკენ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება სპირალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით და ხელი რამდენიმეგან ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**პროგრამული** – პროგრამის შესაფერი, პროგრამიდან გამომდინარე

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „პროგრამა“ – მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ზედა ფალანგებში ერთად მოხრილი, სხეულისკენ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება სპირალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით და ხელი რამდენიმეგან ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „დანიშნულება“ – წინ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**პროდუქტი** – წარმოების პროცესში ადამიანის შრომით შექმნილი საგანი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ნივთი“ – სხეულისკენ მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მრავალფეროვნება“ – ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, ფართოდ გაშლილი და ზევით მიმართული თითების რხევით სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



**პროდუქტიული** – პროდუქტის მომცემი, ნაყოფიერი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შედეგი“ – მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგულზე განთავსებული მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „საუკეთესო“ – ქვევით მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული, ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს,

ბოლო ფაზაში წინ მიმართულია ხელისგული იმავე კონფიგურაციით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



**პროგრესი** – განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ასვლა, ცვლილება უკეთესისაკენ, წინსვლა, აღმავლობა

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ერთმანთისკენ მიმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**პროვოკაცია** – რაიმე მოქმედების განზრახ გამოწვევა, ვისიმე წაქეზება გაცემის, ღალატის მიზნით

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ერთმანეთთან ახლოს განთავსებული ხელისგულები, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება ქვევით მიმართული განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ქვევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**პროპაგანდა** – პოლიტიკური, მეცნიერული და სხვა იდეის, მოძღვრების, თეორიის გავრცელება დაწვრილებითი და ღრმა ახსნა-განმარტების გზით

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შეტყობინება“ – სხეულისკენ მიმართულია შუბლთან განთავსებული ხელისგულები, გაშლილი და ზევით აღმართულია ფალანგებში ოდნავ მოხრილი საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება ქვევით მიმართული რკალური ტრაექტორიის განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ქვევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ქვევით, ბოლო ფაზაში ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები და საჩვენებელი თითები მოხრილია; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „პროვოკაცია“ – ქვევით მიმართულია ერთმანეთთან ახლოს განთავსებული ხელისგულები, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება ქვევით მიმართული განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ქვევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



**პროპორცია** – გარკვეული თანაფარდობა ნაწილებს შორის

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**პროტესტი** – უარყოფითი დამოკიდებულების, უკმაყოფილების ენერგიული გამოხატვა, გამოცხადება

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ერთ ხაზზე განთავსებული ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**პროფესია** – მუდმივი ხელობა, საქმიანობა, სპეციალობა, რომლითაც ადამიანი თავს ირჩენს

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „პროფესია“

– ქვევით მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართული, ზედა ფალანგებში ერთად მოხრილი თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სპეციალობა“ – წინ მიმართულია ხელისგულები, ზევით წამოწეულია ფალანგებში მოხრილი საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ბოლოო ფაზაში საჩვენებელი და შუა თითები გაშლილია და ზევით აღმართული, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**პროცესი** – განვითარების მომდევნო საფეხურთა კანონზომიერი მონაცვლეობა, ცვლილებათა თანმიმდევრობა, რისამე მიმდინარეობა, მსვლელობა

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ჟურნალი** – წიგნის სახის პერიოდული გამოცემა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური სიტყვა-ჟესტი „გადაშლა“ / „გადაფურცვლა“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი

თითებით მიმართულია ზევით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილი და ქვევით მიმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და გაშლილი თითებით ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ფორმა – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართული თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება ჯერ განსვლითი, შემდეგ კი ქვევით მიმართული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.



## ჟურნალისტი

– პროფესიონალი ლიტერატორი, რომელიც მედიაში მუშაობს

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური, იკონური სიტყვა-ჟესტი „მიკროფონი“ – მუშტად შეკრული თითებით სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**რადიო** – კავშირგაბმულობა და მაუწყებლობა მაღალი სიხშირის ელექტრომაგნიტური ტალღებით

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „სმენა“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ყურთან მიტანილია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ფორმა – ზევით მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით, ბოლო ფაზაში თითები ოდნავ მოხრილია ფალანგებში. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მხრების დონეზე.



**რაიონი** – გეოგრაფიული, ეკონომიკური თუ სხვა ნიშნის მიხედვით გამოყოფილი ტერიტორიული ერთეული

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, მარცხნივ მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება საჩვენებელი თითის წვერს, დანარჩენი თითები გაშლილია, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე ოდნავ ქვევით.



**რაიონული** – რაიონთან დაკავშირებული, რაიონის კუთვნილი, რაიონისა, სარაიონო

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „რაიონი“ – მარცხნივ მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება საჩვენებელი თითის წვერს, დანარჩენი თითები გაშლილია, სრულდება განმეორებადი წრიული მოძრაობა; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მათი“ – სხეულისკენ მიმართულია მარცხენა მხართან განთავსებული ხელისგული გაშლილი და ფალანგებში ერთად მოხრილი, ზევით აღმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე და ოდნავ ქვევით.



**რეალობა** – ობიექტურად არსებული მოვლენა, ფაქტი, სინამდვილე

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სიმართლე“ – სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, ხელი ეხება ლოყას; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი

„ნამდვილი“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



**რეგისტრაცია** – დავთარში, სიაში შეტანა, აღწერა, აღრიცხვა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „წერა“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, ქვევით მიმართულია ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული, ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს და ხელი თითის წვერებით ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დაბეჭდვა“ – ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი თითებით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**რეგლამენტი** – 1. სხდომის, კონფერენციის ჩატარების წესი; 2. აქტივობისთვის გამოყოფილი განსაზღვრული დრო

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დრო“ – მარცხნივ მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითების რხევით, ცერი ეხება ნიკაპს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „პროგრამა“ – მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ზედა ფალანგებში ერთად მოხრილი, სხეულისკენ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით და ხელი სამგან ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



**რეგულარული** – სისტემატური

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დრო“ – მარცხნივ მიმართულია ხელისგული ფართოდ

გაშლილი და ზევით აღმართული თითების რხევით, ცერი ეხება ნიკაპს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „თანაბარი“ – ქვევით მიმართულია ერთად განთავსებული ხელისგულები გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ჩაკეცილი ცერებით, ორივე ხელით ერთად სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



**რევიზია** – გადასინჯვა, შემოწმება, რისიმე მუშაობის გამოკვლევა მოქმედების სისწორისა და კანონიერების შემოწმების მიზნით

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შესვლა“ – მარჯვნივ და სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული, გაშლილი თითებით, მარცხნივ და სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელზე განთავსებული მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ანალიზი“ – ხელისგულები წინ და ქვევითაა მიმართული, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**რევოლუცია** – გადატრიალება საზოგადოებრივ ცხოვრებაში

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მუშტად შეკრული თითებით ქვევით მიმართულია ერთმანეთზე განთავსებული ხელისგულები, ზემოდან განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულის ზედაპირს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**რეზოლუცია** – ყრილობაზე, კრებაზე, თათბირზე მიღებული დადგენილება, გადაწყვეტილება

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და მარცხენა ხელისგულისკენ მიმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ტეხილი ტრაექტორიით ჯერ ზევით და შემდეგ კი – მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



## რეკლამა

– განცხადება, პლაკატი, გადაცემა ან სხვა ღონისძიება რამეზე მასის ყურადღების მისაპყრობად, მომხმარებლების მოზიდვის მიზნით

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგულები,
მარჯვენა ხელის თითები გაშლილია, მარცხენა ცერი ეხება შუათითს, დანარჩენი თითები გაშლილია, სრულდება ხელის პოზიციათა და კონფიგურაციათა მონაცვლეობითი, განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



## რეკომენდაცია

– ვისიმე მუშაობის, საქმიანობის დადებითი დახასიათება წერილობით ან სიტყვიერად

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მაგალითი“
– ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით; მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებითი მოძრაობა წინ და უკან, მარჯვენა ხელისგული ზურგით ეხება მარცხენას; ჟესტის მეორე

ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ამბავი“ / „თხრობა“ – წინ მიმართულია ხელისგულები, ცერები ეხება შუათითების წვერებს, დანარჩენი თითები გაშლილია, ბოლო ფაზაში თითები გაშლილია. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



## რეორგანიზაცია

– დაწესებულების, ორგანიზაციის გადაკეთება, გარდაქმნა, სტრუქტურის შეცვლა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სამსახური“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება საჩვენებელი და შუა თითების წვერებს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი ეხება მკერდს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „რეფორმა“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე და ოდნავ ქვევით.



**რესპუბლიკა** – სახელმწიფო მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც უმაღლესი ძალაუფლება ეკუთვნის გარკვეული ვადით არჩეულ პირებს თუ ორგანოებს

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, მარცხნივ მიმართულია ხელისგული, ცერი და საჩვენებელი თითი ერთმანეთს ეხება წვერებით, დანარჩენი თითები გაშლილია, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა და ხელი რკალური ტრაექტორიით მარჯვნივ გადაადგილდება. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე ოდნავ ქვევით.



**რეფორმა** – გარდაქმნა, გადაკეთება

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**რუსეთი** – ქვეყანა აღმოსავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ აზიაში

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „რუსი“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და მარცხნივ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა მარჯვნივ, ხელი ეხება სახეს ნიკაპთან (ან ცხვირის ქვეშ); ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ქვეყანა“ – ქვევით მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



**სააგენტო** – დაწესებულება, რომელიც ასრულებს სხვადასხვა ორგანიზაციის ან კერძო პირთა დავალებებს

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „აგენტი“– სხეულისკენ მიმართულია მარცხენა მკერდთან განთავსებული ხელისგული გაშლილი თითებით, რკალური ტრაექტორიით სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი,

სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „დანიშნულება“ – წინ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**საბუთი** – რისამე დამამტკიცებელი აზრი ან ფაქტი, არგუმენტი

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს.

ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**საერთაშორისო** – ინტერნაციონალური, ყველა (ან ბევრი) ქვეყნისა და ერისათვის (ხალხისათვის) მნიშვნელობის მქონე ან საერთო

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი, ფალანგებში ოდნავ მოხრილი და

ერთმანეთისკენ მიმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**სავარაუდო** – რასაც ვარაუდობენ ან რაც უნდა ივარაუდონ, დაახლოებითი

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი თითებით და ქვევით ჩაწეული შუა თითით, ხელი ორჯერ ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**საზოგადოება** – გარკვეული საერთო პირობებით დაკავშირებული ადამიანთა ერთობლიობა, ჯგუფი

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ხელი ეხება შუბლს, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარცხნივ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.



**საზღვარი** – ხაზი, რომელიც რისამე ფარგლებს აღნიშნავს, რომელიც ორ ტერიტორიას, ორ ადგილს ყოფს ურთიერთისაგან, მიჯნა, ზღვარი

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით მიმართულია ქვევით, მარცხენა ხელის წინ განთავსებული მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით და ქვევით დაშვებული, გაშლილი ცერით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**სათადარიგო** – თადარიგისათვის განკუთვნილი, რისამე ან ვისიმე შემცვლელად გამოსადეგი, მომავალში გამოსაყენებელი, სარეზერვო

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მარაგი“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით მიმართულია ზევით, მარცხენა ხელის ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელისგული მიმართულია მარცხნივ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები ჩაკეცილია,

მარჯვენა ხელი სხეულისკენ გადაადგილდება და ბოლო ფაზაში მუშტად შეკრულია თითები; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „დანიშნულება“ – წინ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**საინფორმაციო** – ინფორმაციის ხასიათისა, ინფორმაციისათვის განკუთვნილი, ინფორმაციული, ინფორმაციისა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ინფორმაცია“ – სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილია შუბლთან მიტანილი საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სხეულისკენ მიმართული მარცხენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მხრებთანაა განთავსებული, ორივე ხელით სრულდება პოზიციათა განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა, ხელები ზევით-ქვევით გადაადგილდება; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „დანიშნულება“ – წინ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი წარმოდგენილია სახის, მხრებისა და მკერდის დონეზე.



**საკონსულო** –
ერთი სახელმწიფოს
წარმომადგენლობა
კონსულის მეთაურობით სხვა
სახელმწიფოს რომელიმე
ქალაქში

ორნაწილიანი ჟესტის
პირველი ნაწილია
ერთხელიანი, დინამიკური
სიტყვა-ჟესტი „კონსული“
– მარჯვნივ მიმართულია სახესთან განთავსებული
ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია
შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები
შეკრულია მუშტად, სრულდება რკალური ტრაექტორიის
განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან; ჟესტის მეორე
ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-
ჟესტი „დანიშნულება“ – წინ მიმართულია ხელისგულები
გაშლილი და ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი
თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი
წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



**სამართალი**
– სახელმწიფოს
მიერ დადგენილი ან
სანქციონირებული
ნორმების ერთობლიობა

ორნაწილიანი ჟესტის
პირველი ნაწილია
ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მართალი“
– სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი
და ზევით აღმართული თითებით, სრულდება
განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან და ხელი

ეხება ლოყას; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ჭეშმარიტი“ – წინ მიმართულია ხელისგულები, ცერი და საჩვენებელი თითები კრავს წრეებს, დანარჩენი თითები გაშლილია და ზევით აღმართული, ორივე ხელი ქვევით მოძრაობს სინქრონულად. ჟესტი სრულდება სახისა და მკერდის დონეზე.



**სანქცია** – 1. ზემდგომი ინსტანციის მიერ რაიმე აქტის დამტკიცება, დადასტურება, თანხმობის მიცემა, მოწონება; 2. დაჯარიმება

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მუშტად შეკრული თითებით და ზევით აწეული ცერებით ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, ცერები რკალური ტრაექტორიით ქვევით ეშვება სინქრონულად, ბოლო ფაზაში ცერებზე შემოხვეულია საჩვენებელი თითები. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**სარწმუნო** – დასაჯერებელი, დამარწმუნებელი, ნამდვილი, მართალი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სანდო“ – სხეულისკენ

მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარცენი თითები შეკრულია მუშტად, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „დანიშნულება“ – წინ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**სასამართლო**

– სახელმწიფოებრივი ორგანო, რომელიც კანონით განსაზღვრული წესის მიხედვით იხილავს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, ცერები და საჩვენებელი თითები კრავს ზემოთ მიმართულ წრეებს, დანარჩენი თითები გაშლილია, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე ოდნავ ქვევით.



**საფუძველი** – 1. შენობის ქვედა ნაწილი, რომელსაც მთელი ნაგებობა ეყრდნობა, საძირკველი; 2. ფუნდამენტი, ბაზა

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით მიმართულია ზევით, მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით მიმართულია სხეულისკენ, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი წრიული მოძრაობა და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**საყვედური** – უკმაყოფილების, წყენის გამოთქმა, სამდურავი

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით მიმართულია ქვევით, მარცხენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია ზევით, მარჯვენა ხელი ზედ ადევს მარცხენას, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება წინ მიმართული, განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი ზევით და წინ გადაადგილდება, მარცხენა – ქვევით და წინ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**საშვი** – სადმე შესვლის ნებართვის საბუთი

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ფალანგებში მოხრილი თითების წვერებს ეხება ცერი, ბოლო ფაზაში თითები გაშლილია და ზევით აღმართული. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.



**საშვი** – სადმე შესვლის ნებართვის საბუთი, (კისერზე ჩამოკიდებული)

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ერთმანეთთან ახლოს განთავსებული ხელისგულები, გაშლილი ცერებით და საჩვენებელი თითებით ღია წრეებია გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ხელები ეხება მკერდს და სინქრონულად სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი ქვევით გადაადგილდება, მარცხენა – ზევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**საჩივარი** – უკმაყოფილების, სამდურავის გამოთქმა, ჩივილი

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, ფართოდ გაშლილი ზევით აღმართულია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**სახალხო** – ხალხის კუთვნილი, ხალხის კულტურასთან, ისტორიასთან ან მოთხოვნილებებთან დაკავშირებული, ხალხისა, ხალხური

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ერი“ – ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია მარჯვნივ, თითები ეხება შუბლს, რკალური ტრაექტორიით სრულდება მარჯვნივ და ქვევით მიმართული მოძრაობა; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „დანიშნულება“ – წინ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**საჯარიმო** – ჯარიმისათვის განკუთვნილი, ჯარიმის გადახდასთან დაკავშირებული

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ჯარიმა“ – მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილია არათითი, შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „წერა“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით, ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს, ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და მარჯვნივ მოძრაობს; ჟესტის მესამე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დადსტურება“ / „ბეჭდის დასმა“ – ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი თითებით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ბოლო ორი ჟესტი ერთად ნიშნავს სიტყვა-ჟესტს „რეგისტრაცია“. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**საჯარო რეესტრი** – სარეგისტრაციო დაწესებულება

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ხალხი“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება ზევით მიმართული განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ზევით გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ზევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „წერა“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით, ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს, ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და მარჯვენივ მოძრაობს; ჟესტის მესამე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დადსტურება“ / „ბეჭდის დასმა“ – ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი თითებით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ბოლოო ორი ჟესტი ერთად ნიშნავს სიტყვა-ჟესტს „რეგისტრაცია“. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**საჯარო** – საზოგადოებისათვის განკუთვნილი, საზოგადო, საყოველთაო, სახალხო

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მთავრობა“ – მარცხნივ მიმართულია შუბლთან განთავსებული ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, შუა თითი მოხრილია, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ხელი ეხება შუბლს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ამათ“ – მარჯვენა ხელისგული ზევით და სხეულისკენაა მიმართული გაშლილი და ზედა ფალანგებში მოხრილი თითებით, სრულდება მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მხრების დონეზე.



**სემინარი** – უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტთა ჯგუფური, სასწავლო-თეორიული მეცადინეობა

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით და საჩვენებელი თითები ეხება ლოყებს. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მხრების დონეზე.



**სიმბოლო** – რაიმე ცნების ან იდეის გამომხატველი პირობითი ნიშანი

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, მარჯვენა ხელის თითები მოხრილია ფალანგებში, მარცხენა ხელის თითები გაშლილი და ზევით აღმართულია, მარჯვენა ხელი მარცხნივ მოძრაობს და ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**სისტემა** – სტრუქტურა, მთლიანობა, რომელიც შედგება ერთმანეთთან კანონზომიერად დაკავშირებული ნაწილებისაგან

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „კანონი“ – წინ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, ორივე ხელითსრულდება სინქრონული მოძრაობა ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „წყობა“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ორჯერ სრულდება მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**სიტყვა** – ბგერათშეერთება, რომელსაც ლექსიკური მნიშვნელობა აქვს

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარცხენა ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელისგული მიმართულია ზევით, ოდნავ მოხრილი საჩვენებელი თითი და ცერი გამოსახავენ ღია წრეს, ხელი მოძრაობს მარცხნივ და ეხება მარცხენა საჩვენებელ თითს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**სოფელი** – უპირატესად გლეხებით დასახლებული პუნქტი, რომლის ძირითადი მოსახლეობა სოფლის მეურნეობას მისდევს

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი მსუბუქად ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

**სოციალური** –
საზოგადოების ამა თუ
იმ ჯგუფთან ან კლასთან
დაკავშირებული, მათი
დამახასიათებელი



დაქტილებით
წარმოდგენილი ერთხელიანი, დინამიკური, დაქტილური („სოც“) ჟესტი, მარცხნივ მიმართულია ხელისგული, შეტყუპებული და წრიულად მოხრილი თითებით გამოსახულია ღია წრე, მომდევნო ფაზაში წინ მიმართულია ხელისგული, საჩვენებელი და ცერი თითები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ბოლო ფაზაში სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები კრავენ მუშტს. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.

**სპეციალისტი**
– ამა თუ იმ
სპეციალობის
მქონე პირი, ამა
თუ იმ პროფესიაში
დახელოვნებული,
საქმის მცოდნე



რთული ჟესტის
პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „პროფესია“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ფალანგებში ერთად მოხრილი, ერთმანეთისკენ მიმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია

ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ხელოსანი“ – ხელისგული მიმართულია მარცხნივ, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება განმეორებადი წრიული მოძრაობა და ხელი ეხება მკერდს; ჟესტის მესამე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**სპონსორი** – ფინანსური მხარდამჭერი, დამფინანსებელი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ დაფინანსება“ – მუშტად შეკრული თითებით და მოხრილი საჩვენებელი თითებით ხელისგულები მიმართულია ქვევით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი ეხება მარცხენა საჩვენებელ თითს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**სრული** – რასაც არაფერი აკლია, უდანაკლისო, მთლიანი, მთელი

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, გაშლილი და წინ მიმართული თითებით მარცხენა ხელისგული მიმართულია მარჯვნივ, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია ქვევით, მარჯვენა ხელი წინ მოძრაობს და ეხება მარცხენა ხელისგულს საჩვენებელ თითთან. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**სტაბილური** – გამძლე, მტკიცე, მყარი, უცვლელი

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება სპირალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**სტანდარტული** – სტანდარტით განსაზღვრული, სტანდარტის შესაფერი

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ზევით აღმართული, ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება მოძრაობა ქვევით, მოდევნო ფაზაში ქვევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ორივე ხელით ერთად სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.



**სტატია** – კრებულში, ჟურნალში ან გაზეთში მოთავსებული მცირე მოცულობის პუბლიცისტური, სამეცნიერო ან სამეცნიერო-პოპულარული ნაწარმოები

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური სიტყვა-ჟესტი „წერა“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, მარცხენა ხელისგულის ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით, თითები ერთად მოხრილია ზედა ფალანგებში და ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-

მარცხნივ და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დაბეჭდვა“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით მიმართულია ქვევით, მარჯვენა ხელი ქვევით მოძრაობს და ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**სტატისტიკა** – 1. მეცნიერება, რომელიც სწავლობს მასობრივ საზოგადოებრივ მოვლენათა რაოდენობრივ მხარეს; 2. მასობრივ მოვლენათა და შემთხვევათა რაოდენობრივი აღრიცხვა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „პროგრამა“ – გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მარცხენა ხელისგული მიმართულია მარჯვნივ, ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგულთან განთავსებული მარჯვენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელი ქვევით მოძრაობს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ინფორმაცია“ – ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებითი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და სახის დონეზე.



**სტილი** – მანერა, ფორმა ხელოვნებაში, გამომხატველობით ხერხთა, მხატვრულ თავისებურებათა ერთობლიობა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მისი“ – გაშლილი და ზედა ფალანგებში ერთად მოხრილი, ზევით აღმართული თითებით ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, სრულდება მოძრაობა მარჯვნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მოხდენა“ – ვერტიკალზე ერთმანთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება დაახლოებითი მოძრაობა: ზევით განთავსებული მარჯვენა ხელი ქვევით მოძრაობს, ხოლო ქვევით განთავსებული მარცხენა ხელი – ზევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**სტრატეგია** – 1. ომის მომზადებისა და წარმოების, სამხედრო ოპერაციების ჩატარების ხელოვნება; 2. მიზნის მისაღწევი ხერხების ერთობლიობა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გეგმა“ –

ფართოდ გაშლილი და წინ მიმართული თითებით მარცხენა ხელისგული მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული  მიმართულია სხეულისკენ, გაშლილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, გაშლილი თითებით ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ და გაშლილი თითებით ხელი ისევ ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მომავალი“ – გაშლილი და წინ მიმართული თითებით ხელისგული მიმართულია მარცხნივ, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ.  ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**სქემა** – წინასწარი მონახაზი, გეგმა

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მარცხენა ხელისგული მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული  მიმართულია სხეულისკენ, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია ცერი და საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, გაშლილი თითებით ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ასრულებს ორჯერად მოძრაობას წინ. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.



**სხდომა** – რაიმე ორგანიზაციის წევრთა თათბირი სხვადასხვა საკითხების განსახილველად

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „კრება“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით და საჩვენებელი თითები ეხება ლოყებს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დარბაზი (ხალხით)“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და წინ მიმართული თითებით, მარცხენა ხელის ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელი მარჯვნივ და ზევით გადაადგილდება. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.

**ტელევიზია** –
ტელეხედვა, ტელემედია



ორნაწილიანი ჟესტის
პირველი ნაწილია
ორხელიანი, სიმეტრიული,
დინამიკური სიტყვა-
ჟესტი „ტელევიზორი“ –
სხეულისკენ მიმართულია
ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია ნეკი და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „დანიშნულება“ – წინ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.

**ტერიტორია** –
რაიმე საზღვრით
შემოფარგლული მიწა-
წყალი



ორნაწილიანი
ჟესტის პირველი
ნაწილია ორხელიანი,
ასიმეტრიული,
დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მიწა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, მარჯვენა ხელის გაშლილ თითებს უჭირავთ მარცხენა ხელის გაშლილი ნეკი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელი მარჯვნივ მოძრაობს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადგილი“ – ქვევით მიმართულია

ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



## ტექსტი

– წერილობითი ძეგლი ან მისი ნაწილი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ნაწარმოები“ – მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ტექსტთა წყობა“ – მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ფალანგებში წრიულად მოხრილი ცერით და საჩვენებელი თითით ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ტიტული** – მემკვიდრეობითი, საგვარეულო ან ბოძებული ოფიციალური საპატიო წოდება

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ზევით აღმართულია მარცხენა ხელის თითები, მარჯვენა ხელის თითები მოხრილია ფალანგებში და მარცხნივაა მიმართული, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა მარცხნივ და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**უარი** – უარყოფითი პასუხი თხოვნაზე, მოთხოვნაზე, წინადადებაზე

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარცხენა ხელისგულის ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელისგული გაშლილი, ფალანგებში ერთად მოხრილი და სხეულისკენ მიმართული თითებით მიმართულია სხეულისკენ, მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით მიმართულია ზევით, მარჯვენა ხელი წინ მოძრაობს რკალური ტრაექტორიით, ბოლო ფაზაში ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და წინ მიმართული თითებით. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



**უარყოფითი** – 1. უარყოფის შემცველი, გამომხატველი; 2. ცუდი, მავნე, მიუღებელი

ერთხელიანი, დინამიკური, იკონური ჟესტი, ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილი და მარცხნივ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება განმეორებითი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**უბანი** – ქალაქის ან სოფლის ერთერთი კუთხე, ნაწილი

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ხელისგული მიმართულია მარცხნივ, საჩვენებელი თითი და ცერი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, სრულდება განმეორებითი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**უვადო** – ვადის არმქონე, დროის მხრივ განუსაზღვრელი, სამუდამო

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით მიმართულია ზევით, მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით გაშლილი თითებით და ქვევით ჩაწეული არათითით, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით და მარჯვენა არათითი ეხება მარცხენა ხელისგულს, მომდევნო ფაზაში ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი თითებით, მარჯვენა ხელი ზედ ადევს მარცხენას. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**უთანასწორო** – არათანაბარი, არატოლი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი,

სიმეტრიული, დინამიკური, იკონური სიტყვა-ჟესტი „უდრის“ – ხელისგულები მიმართულია სხეულისკენ, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება განმეორებითი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**უთანხმოება** – შეთანხმების ვერ მიღწევა, აზრთა სხვადასხვაობა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შეთანხმება“ – ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართული და ერთმანეთზე განთავსებულია ხელისგულები გაშლილი თითებით, სრულდება პოზიციის მონაცვლეობითი მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**უმიზეზოდ** – მიზეზის გარეშე

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მიზეზი“ – სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, მარჯვნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**უმოქმედო** – რაც არ მოქმედებს, უმოძრაო, გაჩერებული

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი

თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მოქმედება“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით, ორივე ხელის თითების რხევით სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**უმცირესობა** – უმცირესი ნაწილი

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება გაშლილი და წინ მიმართული საჩვენებელი თითის წვერს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**უმწეო** – სოციალურად დაუცველი

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ძველი ანბანის დაქტილებით გამოსახულია შემოკლება „სოც“ – მარცხნივ მიმართულია ხელისგული, შეტყუპებული და წრიულად მოხრილი თითებით გამოსახულია ღია წრე, მომდევნო ფაზაში წინ მიმართულია

ხელისგული, ცერი ეხება საჩვენებელი თითის წვერს, დანარჩენი თითები გაშლილია და ზევით აღმართული, ბოლოო ფაზაში სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.



**უნარი** – შესაძლებლობა, მოხერხება, სიმარჯვე, შნო

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „გონება“ – ქვევით მიმართულია სახესთან განთავსებული ხელისგული, გაშლილი საჩვენებელი თითი ეხება შუბლს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შეძლება“ – წინ მიმართულია ხელისგულები მუშტებად შეკრული თითებით, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ქვევით, ბოლოო ფაზაში იმავე კონფიგურაციით ქვევით მიმართულია ხელისგულები. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



**უპასუხისმგებლო** – ვისაც პასუხისმგებლობის გრძნობა არა აქვს

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „პასუხისმგებლობა“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, საჩვენებელი თითები და ცერები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელი ქვევით მოძრაობს და ეხება მარცხენა ცერს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**უპირატესობა** – უპირატესის, უკეთესის, წარმატებულის მდგომარეობა, უკეთესობა

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით, მარჯვენა ხელი ზევით მოძრაობს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ურთიერთგაგება** – ურთიერთშორის გაგება, ერთმანეთის გაგება

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ურთიერთობა“ – ზევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა წინ და უკან; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „გონება“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი საჩვენებელი თითი ეხება შუბლს, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის მესამე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გაგება“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა წინ და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და სახის დონეზე.



**უსაფუძვლო** – რასაც საფუძველი არა აქვს, დაუსაბუთებელი, უმართებულო

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით

აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „საფუძველი“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით მიმართულია ზევით, მუშტად შეკრული თითებით მარჯვენა ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



## უსისტემო

– სისტემას, წესს მოკლებული, უწესრიგო, უთავბოლო

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „კანონი“– წინ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**უუფლებო** – ვისაც რისამე უფლება არა აქვს, უფლებაწართმეული

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „უფლება“ – მუშტად შეკრული თითებით ქვევით მიმართულია ხელისგულები, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**უფლება** – რისამე კეთების, განხორციელების შესაძლებლობა და ნებართვა

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მუშტად შეკრული თითებით ქვევით მიმართულია ხელისგულები, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**უშედეგო** – რასაც შედეგი არ მოაქვს, უნაყოფო, ფუჭი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შედეგი“ / „პროგრამა“ – მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ზედა ფალანგებში ერთად მოხრილი, სხეულისკენ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით და ხელი სამგან ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**უწესო** – წესს, წესიერებას მოკლებული, უწესრიგო, ურიგო

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით მიმართულია

მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „კანონი“ – წინ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი, ზევით აღმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**უწყება** – შეტყობინება, ცნობა, მიწერილობა სადმე მიწვევის შესახებ

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შეტყობინება“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართულია ფალანგებში ოდნავ მოხრილი შუბლთან განთავსებული საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით და მომდევნო ფაზაში საჩვენებელი თითი მოხრილია; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ბარათი“ – ხელისგულები ერთმანეთისკენაა მიმართული, გაშლილი და წრიულად მოხრილია საჩვენებელი თითებით და ზევით აღმართული ცერები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ფარული კენჭისყრა** – ფარული ხმის მიცემით რაიმე საკითხის გადაწყვეტა ან ვისიმე არჩევა

რთული ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „საიდუმლო“ – ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილი ცერი ჯერ მარჯვენა ლოყას ეხება მსუბუქად და ქვევით მოძრაობს, შემდეგ მარცხენას და ისევ ქვევით მოძრაობს, დანარჩენი თითები კრავენ მუშტს; ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ხმა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი საჩვენებელი თითით ეხება ყელს; ჟესტის მესამე, ბოლო ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ხელის აწევა“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახის, მხრებისა და მკერდის დონეზე.



**ფაქტი** – რაც სინამდვილეში მოხდა

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულის ზურგს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ფედერაცია** – რამდენიმე სახელმწიფოსაგან შემდგარი სახელმწიფო, სადაც ყოველი წევრი ინარჩუნებს გარკვეულ სფეროში სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და ერთად ქმნიან ხელისუფლებისა და მმართველობის ერთიან ორგანოებს

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ფალანგებში ერთად მოხრილი, წინ მიმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.



**ფინალი** – დასასრული, ბოლო, რისამე უკანასკნელი ნაწილი

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ვერტიკალზე განთავსებული ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა სხეულისკენ და ხელები ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ფინანსები** – ფულადი სახსრები

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „თანხა" – მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ზევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული, ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებითი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და გაშლილი თითებით ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „დანიშნულება" – წინ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ფონდი** – მარაგი, რესურსები, მიზნობრივი თანხები

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „თანხა“ – მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ზევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული, ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებითი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და გაშლილი თითებით ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „გუდა“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით მიმართულია სხეულისკენ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ქალაქი** – დიდი დასახლებული პუნქტი, ჩვეულებრივ, ადმინისტრაციული, სამრეწველო, სავაჭრო და კულტურული ცენტრი

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი თითებით და ქვევით ჩაწეული შუათითით, მარჯვენა ხელით სრულდება ქვევით მიმართული მოძრაობა და შუა თითი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ქართველი** – ქართული ეროვნების ადამიანი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ქართული“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ცერი ეხება მკერდს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**ქება** – ვისიმე ან რისამე მოწონებით მოხსენიება, ხოტბის შესხმა

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი ზევით აღმართული თითებით, სხეულისკენ მიმართულია მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ქველმოქმედება** – ქველმოქმედის საქმიანობა, მოღვაწეობა, მოწყალება

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „კეთილი“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ზედა ფალანგებში ერთად მოხრილი თითებით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულის ზურგს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მოქმედება“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები,

ფართოდ გაშლილი და ქვევით მიმართული თითების რხევით სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ქვეყანა** – დედამიწა, დედამიწის სფერო, ჩვენი პლანეტა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ქალაქი“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი თითებით და ქვევით ჩაწეული შუა თითით, მარჯვენა ხელით სრულდება ქვევით მიმართული მოძრაობა და შუა თითი ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადგილი“ – ქვევით მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ქრისტიანი** – ქრისტიანული რელიგიის მიმდევარი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ქრისტე“ – მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი

და ზევით აღმართული თითებით, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, მარჯვნივ  მიმართული შუა თითით ხელი ეხება მარჯვენა ხელისგულს, მომდევნო ფაზაში ხდება კონფიგურაციათა მონაცვლეობა; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ადამიანი“ – ხელისგული მიმართულია წინ, გაშლილი ცერით და საჩვენებელი თითით ღია წრეა გამოსახული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**ქრონიკა** – საზოგადოებრივი მოვლენების, ფაქტების ქრონოლოგიური აღნუსხვა, ყოველწლიური ჩანაწერი, მატიანე

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ახალი“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, ზევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა მარცხენა ხელის ზევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „თხრობა“ –  წინ მიმართულია ხელისგულები, შუათითები და ცერები  ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, მომდევნო ფაზაში ფართოდ გაშლილია ზევით აღმართული თითები. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ქსელი** – სისტემაში შემავალ ერთეულთა ერთობლიობა და მრავალმხრივი კავშირები

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ერთმანეთთან ახლოს განთავსებული ხელისგულები, საჩვენებელი თითები და ცერები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განსვლითი მოძრაობა: მარჯვენა ხელი მარჯვნივ გადაადგილდება, მარცხენა – მარცხნივ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.



**ქუჩა** – სახლების ორ მწკრივს შორის მოქცეული გზა

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია მარცხენა მარჯვენა გვერდთან განთავსებული ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, სხეულისკენ მიმართულია მარცხენა იდაყვის წინ განთავსებული მარჯვენა ხელისგული გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე ოდნავ ქვევით.



**ღარიბი** – მცირე ქონების პატრონი, ხელმოკლე, უქონელი

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგულები, ცერები და შუა თითები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, მარჯვენა ხელი ზემოდან ადევს მარცხენას, ბოლო ფაზაში ორივე ხელის თითები გაშლილია, ცერები – ჩაკეცილი. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ღერბი** – 1. ახელმწიფოს ან საგვარეულოს სიმბოლიკა; 2. ოფიციალური ორგანიზაციის ან რამე იურიდიული პირის სიმბოლური ფორმა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „სახელწიფო“ – გაშლილი და ზემოთ აღმართული საჩვენებელი თითი ეხება შუბლს, მოხრილია შუა თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი – მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, მარცხნივ მიმართულია მარჯვენა  ხელისგული გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი, მარჯვნივ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა მარცხნივ და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ღონისძიება** – ამა თუ იმ მიზნისთვის საჭირო მოქმედება, აქტივობა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მოქმედება“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ქვევით დაშვებული თითებით, ორივე ხელი თითების რხევით ასრულებს განმეორებად მოძრაობას მარჯვნივ-მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმატრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „დღესასწაული“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, ცერები ეხება შუა თითებს, დანარჩენი თითები გაშლილია და ერთმანეთისკენ მიმართული, ხელები ეხება მკერდს, ბოლო ფაზაში წინ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი თითებით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**ყალბი** – არანამდვილი, მაგრამ ნამდვილს მიმსგავსებული

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარცხენა ხელისგული ფართოდ გაშლილი და წინ მიმართული თითებით მიმართულია ზევით, სხეულისკენ მიმართულია სახის წინ განთავსებული მარჯვენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ბოლო ფაზაში ცერები ეხება გაშლილი თითების წვერებს,

ორივე ხელით სრულდება განმეორებითი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



**ყოფა-ცხოვრება** – სიცოცხლე, არსებობა, ყოფნა

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და ხელები ეხება სხეულს. ჟესტი წარმოდგენილია წელის დონეზე.



**ყრილობა** – დიდი საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელთა კრება

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მუშტად შეკრული თითებით და ცერებზე შემოხვეული საჩვენებელი თითებით ქვევით მიმართულია ხელისგულები, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.



**ყრუ** – ადამიანი, რომელსაც სმენა არა აქვს, ყურში არ ესმის

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, საჩვენებელი თითი სახეს ეხება ყურთან, სრულდება რკალური ტრაექტორიიის მოძრაობა ქვევით და თითი ისევ ეხება სახეს. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.



**ყუთი** – ოთხკუთხი სათავსი

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, იკონური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ბოლო ფაზაში სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები ერთმანეთისკენ მიმართული თითებით, მარცხენა ხელი ზევითაა განთავსებული. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ყურადღება** – გულისყური, ინტერესი

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული, გაშლილი და მარცხნივ მიმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები კრავენ მუშტს, სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი ეხება ნიკაპს. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.



**შებრძოლება** – ბრძოლის გამართვა, დაწყება, შეიარაღებული შეტაკება, შებმა

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგულები, გაშლილი თითებით ერთმანეთზე გადაჭდობილია ხელები, ორივე ხელით ერთად სრულდება მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.



**შეგროვება** – ერთად მოკრება, თავის მოყრა, მოქუჩება, შეკრება

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მოგროვება“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარცხნივ და ბოლო ფაზაში სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგულის ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური, სიტყვა-ჟესტი „გროვა“ – ქვევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი, წინ მიმართული თითებით, ორივე ხელით რკალური ტრაექტორიით სრულდება ქვევით მიმართული სინქრონული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**შედარება** – ერთმანეთთან შეპირისპირება მსგავსება-განსხვავების გამოსარკვევად

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება

განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და ხელები ერთმანეთს ეხება. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**შეთავაზება** – თავაზით შეძლევა, მიწოდება

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური სიტყვა-ჟესტი „აზრი“ – ხელისგული მიმართულია მარცხნივ, თითები ერთად მოხრილია ზედა ფალანგებში და ცერი ეხება საჩვენებელი თითის წვერს, ხელი თითების წვერებით ეხება საფეთქელს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „აღიარება“ / „გულიდან გადმოსვლა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართული თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ, ხელები ეხება მკერდს და ბოლო ფაზაში ზევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი, ფალანგებში ოდნავ მოხრილი, წინ მიმართული თითებით. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მკერდის დონეზე.



**შეკავშირება** – კავშირის გაბმა, ახლო ურთიერთობის დამყარება, შეერთება

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგული, საჩვენებელი და ცერი თითები ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია, მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით, ორივე ხელის საჩვენებელი და ცერი თითები ჯაჭვურად ებმის ერთმანეთს, სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**შეკრება** – თავის მოყრა, შეგროვება

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია მხრების დონეზე განთავსებული ხელისგულები ფართოდ გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართული თითებით ორივე ხელით სინქრონულად სრულდება შიგნით მიმართული რკალური ტრაექტორიის მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.



**შემდეგი** – რისამე მომყოლი, მომდევნო, შემდგომი

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, მარცხნივ მიმართულია ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე ოდნავ ქვევით.



**შემთხვევა** – გაუთვალისწინებელი, მოულოდნელად მომხდარი ამბავი, ფაქტი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მოულოდნელობა“ / „უცებ“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები სახის დონეზე ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ერთმანეთისკენ და მომდევნო ფაზაში წინ მიმართულია ხელისგულები იმავე კონფიგურაციით; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „უბედური შემთხვევა“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, არათითი და ცერი ერთმანეთს წვერებით ეხება, დანარჩენი თითები გაშლილია და წინ მიმართული, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახის, მხრებისა და მკერდის დონეზე.



**შემოსავალი** – მიღებული ფული ან მატერიალური ღირებულება

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სარგებელი“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება საჩვენებელი თითის წვერს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით და ხელი ეხება მკერდს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მოგება“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული წრიულად მოხრილი თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარცხნივ, ხელი ოდნავ ეხება მარცხენა ხელისგულს და ბოლოო ფაზაში სხეულისკენ მიმართულია მარცხენა ხელისგულის ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**შემოწმება** – ავკარგიანობის გასინჯვა, გარკვევა

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ხელისგულები წინ და ქვევითაა მიმართული, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი

თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**შემუშავება** – დამუშავება, მომზადება, დამზადება

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სამუშაო“ – ქვევით მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება საჩვენებელი და შუა თითების წვერებს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი ეხება მკერდს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „შეკაზმვა“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, ცერები ეხება გაშლილი თითების წვერებს, ორივე ხელით სრულდება შიგნით მიმართული რკალური ტრაექტორიის ორჯერადი მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**შესაბამისი** – შესატყვისი, შესაფერისი, სათანადო

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი

თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ერთმანეთისკენ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**შესავალი** – 1. საიდანაც შედიან, შესასვლელი; 2. დასაწყისი, წინასიტყვა

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, მარჯვენა ხელისგული მიმართულია წინ, მუშტად შეკრული თითებით და ზევით აღმართული, გაშლილი საჩვენებელი თითით მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ზევით მიემართება. ჟესტი სრულდება მკერდის დონეზე.



**შესაძლებლობა** – შეძლება, ძალა, უნარი

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მუშტად შეკრული თითებით ქვევით მიმართულია ხელისგულები, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით, ჯერ – მარჯვნივ, შემდეგ – მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**შესრულება** – დამთავრება, დასრულება, განხორციელება, გაკეთება

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, გაშლილი და წინ მიმართული თითებით მარცხენა ხელისგული მიმართულია მარჯვნივ და ქვევით, იმავე კონფიგურაციით მარჯვენა ხელისგული მიმართულია მარცხნივ და ზევით, მარცხენა ხელი წინ მოძრაობს და ეხება მარჯვენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**შეუთანხმებელი** – რაც არ არის შეთანხმებული, მოუგვარებელი, დაუდასტურებელი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „თანხმობა“ – ხელისგულები ერთმანეთისკენაა მიმართული, გაშლილი და წინ მიმართულია საჩვენებელი თითები, ზევით აღმართულია ცერები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „არა“ – წინ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და მხრების დონეზე.



**შეფასება** – რისამე ფასის, ღირებულების განსაზღვრა, ფასის დადება, დაფასება

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ფასი“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებითი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მიცემა“ – მუშტად შეკრული თითებით და ცერზე შემოხვეული საჩვენებელი თითით მარცხნივ მიმართულია ხელისგული, სრულდება მოძრაობა წინ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**შეღავათი** – ვალდებულების შემცირება, შემსუბუქება, გაიოლება, შვება

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება საჩვენებელი თითის წვერს, დანარჩენი თითები გაშლილია და ზევით აღმართული, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით და ხელი ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**შეშლა** – დაბრკოლების შექმნა, შეფერხება, დაყოვნება

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა წინ და ქვევით, ხელი ეხება მარცხენა საჩვენებელ თითს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**შეჩერება** – დროებით მოძრაობის შეწყვეტა, გაჩერება, შეყოვნება

ორხელიანი, ასიმეტრიული, სტატიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით, იმავე კონფიგურაციით წინ მიმართული მარჯვენა ხელი განთავსებულია მარცხენა ხელის მტევანზე. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის  დონეზე.



**შეცდომა** – უზუსტობა, უსწორობა

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია სახის წინ განთავსებული ხელისგული, გაშლილია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, გაშლილი თითებით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.



**შეცვლა** – ერთის სხვა რამით შენაცვლება, გამოცვლა

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართული და ერთმანეთზე მიდებულია ხელისგულები, გაშლილია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, საჩვენებელი თითებით სრულდება რკალური ტრაექტორიის მონაცვლეობითი, განმეორებითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ჩაგდება** – იძულებით რამეში მოქცევა, შიგნით მოთავსება

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, წინ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, ცერი ეხება მოხრილი თითების წვერებს, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა წინ და ბოლო ფაზაში ფალანგებში მოხრილი და წინ მიმართულია მარჯვენა ხელის თითები. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ჩანაწერი** – რაც ჩაწერეს ან ჩაიწერა, ჩაწერილი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „წერა“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგულზე განთავსებული მარჯვენა ხელისგული, ცერი ეხება გაშლილი თითების წვერებს, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს, სრულდება განმეორებადი მოძრაობა მარჯვნივ-მარცხნივ; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ჩანიშვნა“ – ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული

თითებით, ქვევით მიმართულია მარცხენა ხელის ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ჩარიცხვა**
– ვისიმე ანგარიშზე შეტანა (თანხისა)

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ფული“ – ზევით მიმართულია ხელისგული, ცერი განმეორებადი მოძრაობით ეხება საჩვენებელი და შუა თითების წვერებს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ჩარიცხვა“ / „ჩადება“ – მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული ფართოდ გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, ცერი ეხება ფალანგებში მოხრილი თითების წვერებს; მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა წინ, ბოლო ფაზაში წინ მიმართულია ფალანგებში მოხრილი თითები. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



## ცვალებადი –
რაც იცვლება, რასაც ცვლილება ახასიათებს

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია მხრების დონეზე განთავსებული, წინ წამოწეული ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ბოლო ფაზაში ზევით მიმართულია მკერდთან განთავსებული ხელისგულები იმავე კონფიგურაციით. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.



## ცვლილება
– სხვაგვარად ქცევა, გარდაქმნა, გადასხვაფერება, შეცვლა, ცვალებადობა

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ  მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, გაშლილი თითებით სრულდება რკალური ტრაექტორიის სინქრონული, განმეორებითი მოძრაობა წინ და უკან. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ცნობა** – ოფიციალური საბუთი რისამე დასადასტურებლად, მოწმობა

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული, ცერი ეხება შუა და საჩვენებელი თითების წვერებს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, მარჯვენა ხელის გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით სრულდება რკალური ტრაექტორიის განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით, ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ცხრილი** – გარკვეული წესით სვეტებად ჩამოწერილი რისამე ჩამოთვლა ან განაწესი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „რიცხვი“ – მარცხნივ მიმართულია ხელისგული, გაშლილი საჩვენებელი და ცერი თითები განმეორებადი მოძრაობით ეხება ერთმანეთს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული,

დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გრაფიკი“ – წინ და მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, ხელისგულები ერთმანეთთანაა განთავსებული, მარჯვენა ხელი ქვევით მოძრაობს და სამგან ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მხრების დონეზე.



**ძალადობა** – ძალის ხმარება, ძალმომრეობა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ძალა“ – ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და მარცხნივ მიმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა საჩვენებელი თითი ეხება მარცხენა მკლავს, ხელი რკალური ტრაექტორიით გადაადგილდება ქვევით და ისევ ეხება მარცხენა მკლავს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ძალდატანება“ /„იძულება“ – გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით ქვევით მიმართული მარცხენა ხელისგული განთავსებულია მარჯვენა ხელის ქვეშ, წინ და ქვევით მიმართულია მარჯვენა ხელისგული, საჩვენებელი თითი და ცერი ერთმანეთს წვერებით ეხება და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულის ზურგს, დანარჩენი თითები გაშლილია, სრულდება მოძრაობა წინ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ძირითადი** – მთავარი, ის, რასაც დანარჩენი ემყარება, ყველაზე მნიშვნელოვანი

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული ფართოდ გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა და ხელი ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**წამოწყება** – დაწყება

ორხელიანი, დინამიკური, ასიმეტრიული ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, მარჯვენა ხელისგული მიმართულია წინ, მუშტად შეკრული თითებით და ზევით აღმართული, გაშლილი საჩვენებელი თითით მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ზევით მიემართება. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**წარმატება** – კარგი შედეგის მიღება, გამარჯვება, წინსვლა, პროგრესი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „წინსვლა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი წრიული მოძრაობა; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ბედნიერება“ – წინ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ზევით აღმართულია შუა და საჩვენებელი თითები, გაშლილია ცერებიც, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ბოლოს ფაზაში ქვევით მიმართულია ხელისგულები, ცერები ეხება შუა და საჩვენებელი თითების წვერებს, დანარჩენი თითები ჩაკეცილია. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**წევრი** – ცალკე პიროვნება, როგორც ადამიანთა კოლექტივის შემადგენელი ნაწილი

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით, სხეულისკენ მიმართულია მარცხენა მკლავთან განთავსებული მარჯვენა ხელისგული, გაშლილია ცერი და

საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა მკლავს და მარჯვნივ მოძრაობს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**წევრი** – ცალკე პიროვნება, როგორც ადამიანთა კოლექტივის შემადგენელი ნაწილი

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი და მარჯვნივ მიმართული თითებით, ქვევით მიმართულია მარცხენა ხელისგულის ზევით განთავსებული მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ქვევით მიმართულია ცერი, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ქვევით და მარჯვენა ცერი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**წესი** – გარკვეული ქცევის ნორმა, რიგი, ჩვეულება, კანონი

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.



**წესრიგი** – წესის მიხედვით გამართული ვითარება, დისციპლინა

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება სპირალური ტრაექტორიის სინქრონული მოძრაობა მარჯვნივ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**წვლილი** – მონაწილეობა, სხვებთან ერთად შესრულებული საქმე

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია ზევით, მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკრული თითებით და ქვევით მიმართული ცერით მიმართულია წინ, მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**წინააღმდეგი** – ვინც ეწინააღმდეგება, არ ეთანხმება ვისმე ან რასმე, მოწინააღმდეგე

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულის წინ, ირიბ ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება დაახლოებითი მოძრაობა ერთმანეთის მიმართულებით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**წინადადება** – ენის კანონების მიხედვით ერთმანეთთან შეხამებული სიტყვების ჯგუფი, რომელიც დასრულებულ აზრს გადმოსცემს

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულის წინ ირიბ ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, საჩვენებელი თითები და ცერები ერთმანეთს წვერებით ეხება და ხელები ერთმანეთს ეხება ამ თითებით, დანარჩენი თითები გაშლილია, ორივე ხელით ერთად სრულდება მოძრაობა მარჯვნივ და ხდება პოზიციათა მონაცვლეობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**წინასწარ** – რამეზე ადრე, რისამე მოხდენამდე, წინდაწინ, ადრევე

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, მუშტად შეკრული თითებით და ზევით აღმართული ცერებით ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**წოდება** – სახელის დარქმევა, დაძახება

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სახელი“ – ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, მარცხენა ხელზე გაშლილი და ზევით აღმართულია ცერი, მარჯვენაზე მხოლოდ საჩვენებელი თითია გაშლილი და წინ მიმართული, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა საჩვენებელი თითი ასრულებს განმეორებად მოძრაობას წინ და უკან და ეხება მარცხენა ცერს; ჟესტის მეორე ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მიცემა“ – ორხელიანი, სიმეტრიული ჟესტი, ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები მუშტებად შეკრული თითებით და ცერებზე შემოხვეული საჩვენებელი თითებით, ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა წინ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**წუნი** – ნაკლი, დეფექტი

ორხელიანი, სიმეტრიული, სტატიკური ჟესტი, ზევით მიმართულია ერთმანეთზე გადაჭდობილი ხელისგულები გაშლილი და ზევით აღმართული, ფალანგებში ოდნავ მოხრილი თითებით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**წყობა** – ლაგება, დება, განლაგება

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგულები ცერები ეხება გაშლილი და წინ მიმართული თითების წვერებს, ორივე ხელით სრულდება განმეორებითი, მონაცვლეობითი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ჭარბი** – დიდი რაოდენობა, მომეტებული, ზომაზე მეტი

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგული გაშლილი და მარცხნივ მიმართული თითებით, ხელი ეხება სახეს და მარჯვნივ მოძრაობს ნიკაპის გასწვრივ. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.



**ჭორი** – მონაგონი, ტყუილი ამბავი

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ფალანგებში მოხრილია საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტებად, ორივე ხელით სინქრონულად სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ხალხი** – ადამიანთა სიმრავლე, მრავალი ადამიანი ერთად, ადამიანები

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, მარჯვნივ მიმართულია ხელისგული გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ხელი ეხება შუბლს, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა მარჯვნივ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია სახის დონეზე.



**ხარისხი** – რისამე შედარებითი ღირსება

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „საუკეთესო“ – სხეულისკენ მიმართულია სახესთან განთავსებული ხელისგული, ცერი ეხება გაშლილი და სახისკენ მიმართული თითების წვერებს, მომდევნო ფაზაში წინ მიმართულია ხელისგული იმავე კონფიგურაციით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ხარისხი“ – გაშლილი და ფალანგებში მოხრილია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, ხელისგული სხეულისკენაა მიმართული, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია სახისა და მხრების დონეზე.



**ხარჯი** – გასავალი, დანახარჯი

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ვერტიკალზე ერთმანეთისკენ მიმართულია ხელისგულები ფართოდ გაშლილი და წინ მიმართული თითებით, ზევით განთავსებული მარჯვენა ხელით სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ხელმისაწვდომი** – რაზედაც ხელი მიუწვდებათ, ადვილად მოსაპოვებელი

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, ქვევით მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ზედა ფალანგებში მოხრილი, ერთმანეთისკენ მიმართული თითებით, მარჯვენა ხელი ზევითაა განთავსებული, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით, მომდევნო ფაზაში წინ მიმართულია ზედა ფალანგებში მოხრილი თითები და ორივე ხელით სრულდება სინქრონული მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ხელმოწერა** – ხელის მოწერა, ავტოგრაფი

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური, პანტომიმური ჟესტი, ზევით მიმართულია მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით, ზემოთ განთავსებული მარჯვენა ხელისგული მიმართულია ქვევით, გაშლილი და მარცხნივ მიმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, მარჯვენა ხელით სრულდება მოძრაობა ჯერ ზევით და შემდეგ – ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.



**ხელმძღვანელი** – მეთაური, უფროსი

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, წინ მიმართულია ხელისგულები გაშლილი და ზევით აღმართული თითებით, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა წინ და უკან. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ხელშკრულება** – ორ ან რამდენიმე მხარეს შორის დადებული შეთანხმება, პირობა, ურთიერთვალდებულება

ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგულები, გაშლილი და ერთმანეთისკენ მიმართულია საჩვენებელი და შუა თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, ორივე ხელით სრულდება განმეორებადი, მონაცვლეობითი მოძრაობა ზევით-ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ხმა** – ყურით აღსაქმელი ტალღისებრი რხევა ჰაერისა, ბგერა

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი საჩვენებელი თითით ეხება ყელს. ჟესტი წარმოდგენილია მხრების დონეზე.



**ხმის მიცემა** – არჩევანის გაკეთება და არჩევნებში მხარდაჭერა

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ხმა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია საჩვენებელი თითი, დანარჩენი თითები შეკრულია მუშტად, სრულდება განმეორებადი მოძრაობა ზევით-ქვევით და ხელი საჩვენებელი თითით ეხება ყელს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „მიცემა“ – სხეულისკენ მიმართულია ხელისგული, ცერი ეხება ფალანგებში მოხრილი თითების წვერებს, სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა წინ და ქვევით. ჟესტი წარმოდგენილია მხრებისა და მკერდის დონეზე.



**ჯარი** – შეიარაღებული ადამიანების ერთობლიობა, ლაშქარი, არმია

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, მუშტად შეკრული თითებით ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, ხელი ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ჯარიმა** – 1. ფულის გადახდევინება სასჯელად; 2. სპორტსმენის დასჯა თამაშის წესის დარღვევისათვის

ორხელიანი, ასიმეტრიული, დინამიკური მარცხენა ხელისგული გაშლილი და წინ მიმართული თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარცხნივ მიმართულია მარჯვენა ხელისგული, გაშლილი და ზევით აღმართულია არათითი, შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, მარჯვენა ხელით სრულდება რკალური ტრაექტორიის მოძრაობა ქვევით და ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ჭილდო** – საპატიო საჩუქარი დამსახურების, ღვაწლის აღსანიშნავად

ერთხელიანი, დინამიკური ჟესტი, ხელისგული მიმართულია სხეულისკენ, გაშლილი და ქვევით მიმართულია შუა და საჩვენებელი თითები, დანარჩენი თითები ჩაკეცილია, სრულდება მოძრაობა წინ. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



**ჰიმნი** – საზეიმო საგალობელი (მიღებული სახელმწიფოებრივი ერთიანობის სიმბოლოდ)

ერთხელიანი, სტატიკური ჟესტი, სხეულისკენ მიმართულია ხელისგული გაშლილი თითებით, ხელი ეხება მკერდს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.

თამარ მახარობლიძე

# ქართული ჟესტური ენის საარჩევნო ლექსიკონი

თბილისი 2015

ქართული ჟესტური ენის საარჩევნო ლექსიკონი
თამარ მახარობლიძე

პროექტი დაფინანსებულია აშშ-ის საელჩოს მიერ. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის თვალსაზრისს.

This project is funded by the U.S. Embassy Tbilisi. The contents of this publication are those of the Author(s) and do not necessarily represent the views of the Department of State.

ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტი

**დაკაბადონდა და დაიბეჭდა შპს "უნი პრინტ"-ში**

**დამკაბადონებელი ნ. ბათირაშვილი**

**მხატვარი ნ.ზაპრუდნაია**

ISBN 978-9941-18-224-2

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia